1.რა განსხვავებაა ძველი ბერძენის თუ ძველი რომაელის ინდივიდუალურ თავისუფლებასა და ახალი დროის ევროპელის ინდივიდუალურ თავისუფლებას შორის ბენჟამენ კონსტანის მიხედვით? -2 ქ.

ბენჟამენ კონსტანისთვის უმნიშვნელოვანესია ინდივიდუალური თავისუფლების საკითხი. მისი აზრით, ძველი ბერძნებისა და რომაელებისთვის თავისუფლება ხორციელდება კოლექტიური უმაღლესი ხელისუფლების სახით, რადგან თითოეულ მოქალაქეს უშუალოდ მიეღო მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში, მაგრამ ამ თავისუფლებასთან ერთად ინდივიდი თითქმის მთლიანად საჯარო ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული და არ ეძლეოდა ინდივიდუალური თავისუფლების გამოვლენის საშუალება. რაც შეეხება ახალი დროის ევროპელს,(კონსტანისთვის მხოლოდ ამ უკანასკნელის თავისუფლებაა მისაღები)მისი თავისუფლებაა პირადი დამოუკიდებლობა, უშიშროება, სამოქალაქო თავისუფლება, სახელმწიფო მართვაზე ზეგავლენის მოხდენის უფლება.

2. სახელმწიფო ფორმის საკითხი ბენჟამენ კონსტანის მიხედვით(ხელისუფლების დანაწილება, პარლამენტის სტრუქტურა) -2 ქ.

კონსტანის აზრით, ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია და თავიანთ სფეროში სახელმწიფო ორგანოები შეუზღუდავად უნდა მოქმედებდნენ. თანამედროვე სახელმწიფოს ფრომა უნდა იყოს კონსტიტუციური მონარქია, სადაც კონსტიტუციური მონარქი „ნეიტრალური ხელისუფლებაა“ , რომელიც სამი კლასიკური ხელისფულების - საკანონმდებლოს, აღმასრულებელის, სასამართლოს - გარეთაა და ამავდროულად ზემოტაც, ამიტომ უნარი შესწევს და ვალდებულია, უზრუნველყოს მათი ერთიანობა და ნორმალური საქმიანობა. ხელისუფლების ასეთი დანაწილება მას თავისუფლების გარანტად მიაჩნია. იგი პარლამენტის შესახებაც გამოთქვამს მოსაზრებას და ამბობს, რომ პარლამენტი ორპალატიანი უნდა იყოს. ზედა პალატას მემკვიდრეობითი პირები უნდა შეადგენდნენ, ხოლო ქვედას-ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები.

3. დემოკრატიის განმარტება ალექსის დე ტოკვილის მიხედვით -2 ქ.

ალექსის დეე ტოკვილი ძირითადად დემოკრატიის საკითხს განიხილავს,მიიჩნევს მას ეპოქის ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენად და განმარტავს ფართოდ. მისთვის დემოკრატია არის საზოგადოებრივი წყობა, რომელიც ფეოდალიზმის საწინააღმდეგო მოვლენაა და რომელიც არ იცნობს საზოგადოების მაღალ და დაბალ კლასებს შორის საზღვრებს. ამავე დროს, იგი პოლიტიკური ფორმულაა. დემოკრატიის საფუძველი თანასწორობის პრინციპია, რომელიც თანდათან მყარდება. ამ პროცესს საყოველთაო ხასიათი აქვს და ყოველდღე სულ უფრო და უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული ადამიანთა ნებაზე.

4. რას ნიშნავს თანასწორობა ალექსის დე ტოკვილის მიხედვით? -2 ქ.

თანასწორობა, ტოკვილის გაგებით, სხვადასხვა ინდივიდთა თანაბარი საზოგადოებრივი მდგომარეობაა, მათი ერთნაირი სასტარტო შესაძლებლობები ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა, იგი აღნიშნავდა, რომ თანასწორობის რეალური არსებობა ავტომატურად არ უზრუნველყოფს თავისუფლებას, პოიროვნების ავტონომიას.

5.რატომ ანიჭებენ უპირატესობას ადამიანები თანასწორობას თავისუფლებასთან შედარებით ალექსის დე ტოკვილის მიხედვით? -2 ქ.

ტოკვილის მტკიცებით, ადამიანები თანასწორობას ამჯობინებენ თავისუფლებასს. თანასწორობა მათთვის უფრო ადვილი აღსაქმელია, ხოლო თავისუფლება, მეტადრე პოლიტიკური, ადამიანებისაგან გარკვეულ დაძაბულობას მოითხოვს. თავისუფლების პირობებში ადამიანებმა დამოუკიდებლად უნდა განაგონ საკუთარი ბედი, გააკეთონ არჩევანი, პასუხი აგონ თავიანთ მოქმედებებსა და შედეგებზე. შესაბამისად, თავისუფლება გარკვეული ტვირთია და მისი უპირატესობა მაშინვე არ ჩანს, ხალხისთვის კი ყველაზე რთულია ისწავლობ თავისუფლად ცხოვრება.

6. რომელი პოლიიტიკურ-იურიდიული ინსტიტუტები უწყობენ ხელს ინდივიდის და საზოგადოების თავისუფლებას ალექსის დე ტოკვილის მიხედვით? -2 ქ.

ასეთ ინსტიტუტებს მიეკუთვნება: ხელისუფლების დანაწილება, ადგილობრივი თვითმმართველობა, რასაც ტოკვილი სახალხო სუვერენიტეტის წყაროდ მიიჩნევს, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ ეს სუვერენიტეტი უსაზღვრო არ უნდა იყოს, სადაც ხდება ამ საზღვრების გადაცილება, მყარდება ტირანია ☹ , ხოლო უმრავლესობის ტირანია არაფრით არაა უკეთესი ერთი პირის ტირანიაზე.

7. ჰუმბოლდტის ლიბერალური კონცეფციის მიხედვით რისგან უნდა იკავდებდეს თავს სახელმწიფო და რით უნდა შემოიფარგლოს მოქალაქეებთან მიმართებაში? -2 ქ.

ჰუმბოლდი არის გერმანული ლიბერალიზმის წარმომადგენელი, მისი აზრით, სახელმწიფო თავს უნდა იკავებდეს მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ყოველგვარი ზრუნვისაგან. ეს ეხება მოქალაქის სამეურნეო წარმატებას, პროდუქტებით მომარაგებას, საზოგადოებრივ კარიერას, მათ ზნეობას, ფიზიკურ ჯანმრთელობას, პირად ცხოვრებას . სახელმწიფო უნდა შემოიფარგლოს მოქალაქეთა როგორც შინა, ისე საგარეო უშიშროების დაცვით. სიმშვიდის დაცვა უნდა იყოს სახელმწიფოს საქმიანობის ერთადერთი მიზანი. შესაბამისად ჰუმბოლდტი „მინიმალური სახელმწიფოს“ კონცეფციის მიმდევარია.

8.რატომ თვლის საჭიროდ ჰუმბოლდტი სახელმწიფოს მხრიდან მოქმედების მკვეთ შეზღუდვას? -2 ქ.

ჰუმბოლდტი ქადაგებს სახელმწიფოს მხრიდან მოქმედების მკვეთ შეზღუდვას, მიზეზი შემდეგია:ადამიანთა გაერთიანება ერთ სოციალურ კავშირად წარმოშობს ადამიანთა საქმიანობის მრავალფეროვნებას. ასეთ ვითარებაში ყალიბდება პირადი ღირსებისა და თავისუფლების გრძნობის მქონე პიროვნება. ის უნიკალური, სხვებისაგან განსხვავებული ინდივიდია, რომელსაც შეუძლია ბევრის მიღწევა. უმაღლეს ხელისუფლებას კი

სახელმწიფოს მეშვეობით სურს ადამიანტა უნფიცირება, ყველას ერთ თარგზე მორგება. ჰუმბოლდტის მიხედვით, სახელმწიფოს ჩარევია მიმართულია სწორედ იმ მრავალფეროვნების დონის შემცირებისთვის, რაც დამახასიათებელია ერის ყოფიერებისა და საზოგადოებისათვის. ფართო სამტავრობო რეგლამენტაცია გააერფეროვნებს ცხოვრების ყველ სფეროს და გამოირიცხება განვითარების მთავარი პირობა - „მისწრაფებათა მრავალმხრივობა“

9.რატომ არის საშიში ჰუმბოლდტის მიხედვით სახელმწიფოს მხრიდან ადამიანებზე მასობრივი ზრუნვის მისიის თავის თავზე აღება? -2 ქ.

ჰუმბოლდტი თვლის, რომ ასეთ პირობებში აღზრიდლი მოქალაქე, სახელმწიფოს მხრიდან მუდმივი დახმარების მოლოდინშია. საბოლოოდ, ეს მოვლენა პიროვნების, მოქალაქის, უმოქმედობას იწვევს, ამასთან ასუსტებს ინდივიდის ენერგიასა და ნებას, გადააჩვევს პრობლემათა დამოუკიდებელ გადაწყვეტას, საკუთარი ძალებით სიძნელეთა დაძლევას. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს ინდივიდის ზნეობაზე და ამასთანავე ამცირებს ერის ძალას. ასე, რომ ადამიანმა ბედნიერებას უნდა მიაღწიოს მხოლოდ საკუთარი ძალებით, სახელწმიფო კი ვალდებულებია შეზღუდოს მოქმედების ფარგლები.

10. როგორ მოვლენებად განიხილავს მარქსიზმი სახელწმიფოსა და სამართალს ეკონომიკურ ბაზისთან მიმართებაში? -2 ქ.

მარქსიზმის მიხედვით, სახელმწიფო არის ეკონომიკურად გაბატონებული ფენის იარაღი. სახელმწიფოს თავისებურებანი უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო და სამართალი წარმოადგენენ ზედნაშენურ მოვლენებს საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურასთან მიმართებაში. ეს ზედნაშენი მოვლენები ეფუძნება მატერიალურ ურთიერთობებს, დაყრდნობილია რეალურ ბასიზე და დამოკიდებულია მასზე. რეალური ბაზისი არა მხოლოდ საფუძვლად უდევს პოლიტიკურ და იურიდიულ ზედნაშენს, არამედ განსაზღვრავს კიდეც მას. ყველა მნიშვნელოვანი

მოვლენის ძირითადი მამომძრავებელი ძალა, მარქსიზმის მიხედვით, მდგოამრეობს საზოგადეობის ეკონომიკურ განვითარებაში.

11.სახელმწიფოს წარმოშობა მარქსიზმის მიხედვით -2 ქ.

სახელმწიფოსა და სამართლის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი მარქსიზმის მიხედვით, მათი კლასობრივი ხასიათია. სახელმწიფო სწორედ კლასების გაჩენის შემდეგ ჩნდება. პირველყოფილ საზოგადეობაში ჯერ არ არსებობს კლასებად დაყოფა, რადგანაც არ არსებობს სათანადო ეკონომიკური საფუძვლები, ამიტომ არც სახელწმიფო არსებობს ე.ი არსებობდნენ ისეთი საზოაგდოებები, რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობაზე. პირველყოფილი საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ხდება საზოგადოების გათიშვა კლასებად, რის შემდეგაც სახელმწიფო უკვე აუცილებლობას წარმოადგენს, რადგანაც ამ კლაებს შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობაა და სახელმწიფო საჭირო ხდება. ამასთანავე იიგი იქმნება, როგორც გაბატონებული კლასის იარაღი სხვა კლასების დასათრგუნავად.

12. რას გულისხმობს ცნებათა იურისპრუდენცია რომელსაც ემხრობოდა რ. იერინგი მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე? -2 ქ.

ეს მიმდინარეობა თავის ძირითად საქედ მიიჩნევდა ზოგადი ცნებებიდან კონკრეტული სამართლებრივი დებულებების გამოყვანას და სწორედ ცნებებში ხედავდა ცოდნის ძირითად წყაროს. ამ მიმდიანრეობის მომხრეები სამართლის მეცნიერებაში, თვლიდნენ, რომ ცნებები პროდუქტიულნი არიან, ისინი კომბინირებენ და ამის შედეგად ქმნიან ახალ ცნებებს.

13. რა კონცეფციის შემუშავება დაიწყო რ. იერინგმა მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან და რა უნდა იყოს სამართალმცოდნეობის ობიექტი მისი აზრით? -2 ქ.

ამ დროიდან მან დაიწყო „ინტერესთა იურისპრუდენციის“ კონცეფციის შემუშავება, რომლის თანახმადაც ლოგიკურის კულტი თეორეტიიკოსი იურისტისთვის სრულიად უადგილოა, რადგანაც სამართალმცოდნეობა

მათემატიკა არ არის და მასში პრიორიტეტული არ უნდ აიყოს ლოგიკა. საკუთრივ ლოგიკა არ უნდა იყოს სამართალმცოდნეობის ობიექტი, ასეთი უნდა იყოს ცხოვრებისეული ღირებულებები და ადამიანთა რეალური ინტერესები.

14. რა სახის გამოკვლევებს ექვემდებარება სამართალი როგორც ორგანიზმი და რა არის ამ გამოკვლევათა საგანი რ. იერინგის მიხედვით? -2 ქ.

იერინგი სამართალს ორგანიზმს ადარებს და მას ბუნების პროდუქტის ყველა თვისებას ანიჭებს: ინდივიდუალობის, საკუთარი თავიდან ზრდიის და ა.შ. იერინგი აღნიშნავს, რომ ისევე როგორც სხვა ორგანიზმები, სამართალიც ექვემდებარება ორმაგ გამოკვლევას: ანატომიურსა და ფიზიოლოგიურს. ანატომიური გამოკვლევის საგანია სამართლის შემადგენელი ელემენტები და მათი ურთიერთობა ერთმანეთთან (ანუ სტრუქტურა), ხოლო ფიზიოლიგიური გამოკვლევის საგანია სამართლის ფუნქციები.

15. რ. იერინგის ტელეოლოგიური თეორია(მისი მიმართება სამართალთან, სამართალშემოქმდებასთან და სახელწმიფოსთან; ინტერესი, როგორც ადამიანის მიზანშეწონილი საქმიანობის საფუძველი) – 3 ქ.

ტელეოლოგიური თეორიის თანახმად, მიზნის გარეშე არ არსებობს და აზრი არ აქვს არანაირ მოქმედებას. სამართალშემოქმედებას განსაზღვრული მიზნით ხდება. იერინგის მიხედვით სოციალური ცხოვრება ემორიჩილება მიზანშეწონილობის კანონს, ხოლო სახელწმიფო და სამართალი სოციალური ცხოვრების ნაწილებია, შესაბამისად სახელმწიფოცა და სამართალიც ემორჩლებიან მიზანშეწონილობის კანონს. რაც შეეხება ადამიანს, მისი მამოძრავებელი მოტივი არის ინტერესი. იგი გამოხატავს ადამიანის სუბიექტურ მისწრაფებას მიაღწიოს ამა თუ იმ მიზანს, მიიღოს ამასთან დაკავშირებით განსაზღვრული სარგებელი, სიკეთე. ინტერესი აკავშირებს მიზანსა და მოქმედ სუბიექტს, მიზანი ხდება ინტერესის საგანი და წარმოიქმნება მიზნით დაინტერესება.

16. რა სახის საზოგადეობა ქმნის სამართალს, რისი მეშვეობით რ. იერინგის მიხედვით? -2 ქ.

სამართალი იერინგის მიხედვით საზოგადოების მიერ იქმნება. საზოგადოება კი მისი განმარტებით არის საერთო მიზნით გაერთიანებულ ადამიანთა ერთობლივი მოქმედების სფერო. ამ სფეროში თითოეული მოქმედებს სხვებისთვის და თავისთვის. საკუთარი თავისტვის მოქმედებით იგი ამავდროულად სხვებისთვისაც მოქმედებს. მაგრამ ყველანაირ საზოგადოებას არ შეუძლია სამართალი შემქნას. მისი შემქნა მხოლოდ სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ საზოგადეობას ძალუძს. ასეთ საზოაგადოებას სათავეში უდგას საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი სახელმწიფო აპარატი.საბოლოოდ, სწორედ ეს სახელმწიფო აპარატი ქმნის სამართალს. იერინგი პირდაპირ მიუთითებს, რომ სახელმწიფო სამართლის ერთადერთი წყაროა. მისი აზრით, სახეელმწიფოს მრავალრიცხოვან მიზნებს შორის, უმთავრესი სწორედ სამართლის შექმნაა.

17. რა შეადგენს სამართლის შინაარსს რ. იერინგის მიხედვით? -2 ქ.

სამართლის შინაარსს იერინგის აზრით შეადგენს სოციალურ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესები, მაგრამ მხოლოდ ისეთები , რომლებიც საერთოა ყველა მონაწილისათვის.(საზოგადეობის ინტერესები მთლიანობაში). სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დაცული ინტერესი.

18. როგორ განმარტავს რ. იერინგი სამართალს?(იძულების ასპექტი) -2 ქ.

იერიენგი სამართალს ახასიათებს, როგორც ნორმების, ზოგადსავალდებულო ქცევის წესების, ერთობლიობას. იგი ემხრობა სამართლის გავრცელებულ განმარტებას, რომლის თანახმადაც სამართალი არის სახელმწიფოში მოქმედი იძულებითი ნორმების ერთობლიობა. მისი აზრით, სამართლისათვის დამახისათებელი უმნიშვნელოვანესი ნიშანი არის იძულებითობა, რომელსაც მას სახელწმფიო ანიჭებს. იერინგი მიუთითებს, რომ სასამართლოს კრიტერიუმი მდგომარეობს იძულებაში,

ამიტომაც სამართალი მადლიერი უნდა იყოს სახელწმიფოსი არა მარტო წარმოშობის, არამედ არსებობის წესის გამოც.

19. სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობა რ. იერინგის მიხედვით -2 ქ.

სახელმწიფო, იერინგის მტკიცებით, არის სოციალური იძულების ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია არა მარტო ქმნის და უზრუნველყფოს მის არსებობას , არამედ მართავს კიდეც მას. სამართალზე ზრუნვა არის სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანა. სამართალი არ უპირისპირდება სახელმწიფოს, იგი არის მასზე მთლიანად დამოკიდებული დანამატი. იერინგი აღნიშნავს, რომ სამართალი ხელისუფლების გარეშე არარაობაა, მოკლებულია ყოველგვარ რეალობას, რადგანაც მხოლოდ ხელისუფლება, რომელიც ცხოვრებაში ატარებს სამართლის ნორმებს, აქცევს სამართალს იმად, რაც არის.

20.სამართლის ცალმხრივად და ორმხრივად სავალდებულო (იძულებითი) ხასიათი რ. იერინგის მიხედვით. რატომ შეიძნა სამართალმა დროთა განმავლობაში ორმხრივად სავალდებულო ხასიათი? -2 ქ.

იერინგის აზრით სამართალს თავდაპირველად ცალმხრივად იძულებითი ხასიათი ჰქონდა. იგი მიმართლი იყო ქვეშემრდომებისადმი, იმისთვის, რომ აღეკვეთა მათი ზღვარგადასული ზრუნვა კერძო ინტერესებისათვის. შემდგომში სამართალმა თანდათან შეიძნა ორმხრივად სავალდებულო ძალა- იგი სავალდებულო გახდა თვით სახელმწიფო ხელისუფლებისათვის. ზრუნვამ თვითშენარჩუნებისთვის აიძულა ხელისუფლება, რომ დამორჩილებოდა სამართალს. ხელისუფალნი, ბოლოს და ბოლოს რწმუნდებიან, რომ ქვეშემრდომებს კანონისადმი მორჩილების გრძნობას(რის გარეშეც არ არსებობს მყარი სახელმწიფოებრიობა), ისე ვერაფრით განუმტკიცებებენ, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან კანონმორჩილების მაგალითის მიცემით.

21. რა არის სოციალური ცხოვრების ძირითადი ფაქტორი გუმპლოვიჩის მიხედვით და რაში გამოიხატება იგი? 2 ქ.

გუმპლოვიჩის მიხედვით სოციალური ცხოვრების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ბრძოლა არსებობისთვის. სახელმწიფო მთლიანად არის მოქცეული ამ ფაქტორის მოქმედების სფეროში. ეს ბრძოლა კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია და საზოგადოების განვითარების მთავარი სტიმულატორია. იგი გამოიხატება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის ბრძოლაში. თითოეული ჯგუფი მიისწრაფვის სხვა ჯგუფის დამორჩილებისკენ, მასზე გაბატონება სურს. ისტორიის უმაღლესი კანონია ასეთი, რომ ძლირები ამარცხებენ სუსტებს და ერთიანდებიან რომ ერთობლივად დაძლიონ მესამე.

22. დაასახელეთ ადამიანთა შორის ბრძოლის ორი მიზეზი გუმპლოვიჩის მიხედვით -2 ქ.

პირველი არის რასობრივი განსხვავება,თუმცა რასა მისთვის, უპირველეს ყოვლისა, სოციალურ-ეკონომიკური ფენომენია და არა ბიოლოგიური.ხოლო მეორე მიზეზად ასახელებს ადამიანთა სწრაფვას თავიანთი მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ. ამ მისწრაფებას გუმპლოვიჩი თითქმის უნივერსალურ ხასიათს ანიჭებს. იგი აღნიშნავს, რომ ყოველთვის და ყველგან ეკონომიკური მოტივები ყოველგვარი სოციიალური მოძრაობის მიზეზს წარმოადგენენ და განაპირობებენ მთელ სახელმწიფოებრივ და სოციალურ განვითარებას.

23. სახელმწიფოს წარმოშობა გუმპლოვიჩის მიხედვით -2 ქ.

გუმოლოვიჩი თვლის, რომ ყველაზე შორეულ ეპოქაში კონფლიქტები, ომები ცალკეულ გვარებს შორის ამა თუ იმ ქონების დაუფლებისათვის, მთავრდებოდა დამარცხებული ჯგუფის განადგურებით. უფრო მოგვიანებით აასეთი ჯგუფების ადამიანებს ცოცხლად ტოვებდნენ, თუმცა აქცევდნენ მონებად დ ექსპლუატაციას უწევდნენ. გამარჯვებულებს(რასები, უფრო მაღალინტელექტუალური და უკეთესი სახმედრო დისციპლინით), რომ ჰყოლოდათ მორჩილებაში დამარცხებულები უნდა გაეტარებინათ, მთელი რიგი ორგანიზაციული და სხვა ღონისძიებები. სწორედ ამ ღონისძიებების შედეგი იყო სახელმწიფო. ამრიგად, გუმპლოვიჩის მოსაზრებით, სახელმწიფო წარმოიშობა ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ

მეორის დამორჩილების შედეგად, როგორც დამორიჩულებულებზე ბატონობის შენარჩუნების საშუალება. ამრიგად, გუმპლივიჩი წინააღმდეგია, რომ სახელმწიფო დახასიათდეს როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების შერიგებისა და დაშოშმინების ორგანო. მისი მტკიცებით სახელმწიფო იძულებისა და ძალადობის ორგანოა. მისი აზრით, საზოგადოების არსებობა სახელმწიფო იძულების გარეშე შეუძლებელია.

24. გუმპლოვიჩის შეხედულება სამართლის შესახებ -2 ქ.

 გუმპლოვიჩის აზრით, სამართლის შემქნაში გადამწყვეტ როლს სახელმწიფო თამაშობს. სახელმწიფომდელ მდგომარეობაში არ არსებობდა სამართალი. მხოლოდ მაშინ , როდესაც ზნეობრიობა კრისტალიზდება სახელმწიფო კანონებში, იგი იქცევა სამართლად, ეს უკანასკნელი კი თავის დაბადებასაც და შემდგომ არსებობასაც სახელმწიფოს უნდა უმადლოდეს. გუმპლოვიჩი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოსათვის სამართალი და მართლწესრიგი მხოლოდ საშუალებებია და სხვა არაფერი.ისინი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სახით არ არსებობენ, ამიტომაც გუმპლივიჩი უარყოფს ადამიანის განუსხვისებელი უფლებების არსებობას, მისი აზრით ამ უფლებებთან სახელმწიფო სრულიად შეუთავსებელია, შედეგად, ადამიანებმა უნდა აირჩიონ ან სახელმწიფო, მისი დამახასიათებელი მბრძანებლობით, ან ანარქია.

25. სამართლის შტამლერისეული განმარტება -2 ქ.

შტამლერის სიტყვებით სამართალი არის „ადამიანთა სოციალური ცხოვრების ურღვევი თვითნებური რეგულირება“.

26. რას გულისხმობს სამართლის ურღვევობა შტამლერის მიხედვით? -2 ქ.

სამართლის განმარტებაში იგი უმნიშვნელოვანეს თავისებურებად მიიჩნევს სამართლის ურღვევობას, რაც გულისხმობს იმას, რომ ნორმის დამდგენი თავადაც უნდა შეზღუდული იყოს ამ ნორმით. სანამ ასეთი დამოკიდებულება არსებობს დაქვემდებარებულსა და ნორმის დამდგენს

შორის, სანამ ნორმა ორივე მხარისათვის თანაბარსავალდებულოა, მანამ არსებობს სამართალი.

27. რას გულისხმობს ტერმინი „თვითნებური“ სამართლის შტამლერისეულ განმარტებასი?-2 ქ.

ამ განმარტებაში გამიჯნულია სამართალი და კანონმდებლის ”თვითნებობა“, რაც მის ისეთ მოქმდებას გულისხმობს, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის ზოგად პრინციპებს.

28. სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობა შტამლერის მიხედვით -2 ქ.

შტამლერის მსჯელობა სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობის შესახებ რადიკალურად განსხვავდება იერინგის შეხედულებისაგან, რომელიც თვლიდა, რომ სამართალი არ არსებობს სახელმწიფოსა და სახელმწიფო იძულების გარეშე. შტამლერის აზრით, იურიდიული ნორმები წარმოიშობიან, დგინდებიან და იწყებენ მოქმედებას სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისაგან დამოუკიდებლად.

29. ადამიანთა განუსხვისებელი უფლებების დასაბუთება აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, მათი ჩამონათვალი, ხელისუფლების შეცვლიდა და გაუქმების უფლების დასაბუთება- 3ქ.

აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციის ჯეფერსონისეულ ვარიანტში მცოემულია ადამიანის განუსხვისებელი უფლებების დასაბუთება, რომელშიც ნათქვამია, რომ ადამიანებს მინიჭებული აქვთ განსაზღვრული განუსხვისებელი უფლებები. ესენია: სიცოცხლის , თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება. ამ უფლებების უზრუნვესალყოფად დ აგანსახორციელებლად ადამიანებბი ქმნიან მთავრობებს, რომლებიც თავის თავზე იღებენ სამართლიანი ხელისუფლების განხორციელებას მმართველობის ქვეშ მყოფთა თანხმობით. თუ მმართველობის რომელიმე ფორმა არღვევს ამ პრინციპებს, ხალხი უფლებამოსილია შეცვალოს ან გააუქმოს იგი და დაამყაროს ისეთი ახალი ხელისფულება, რომელიც ხალხის აზრით უზრუნველყოფს მათ ბედნიერებასა და უშიშროებას. ასევე

ნათქვამია, რომ უმნიშვნელო და წრმავალი მიზეზების გამო მმართველობის ფორმათა შეცვლა მიზანშეუწონელია, მაგრამ მაშინ, როცა აშკარა ხდება ხელისუფლების განზრახვა დაუმორჩილოს ხალხი საკუთარ თვითნებობას ან აბსოლუტურ დესპოტიზმს, მმართველობის ფორმის შეცვლა აუცილებელი ხდება. ასეთი ხელისფულების დამხობა ხალხის არა მარტო უფლება, არამედ ვალდებულებაცაა.

30.ხელისუფლებათა ურთიერთშეეკვაებისა და შეწონასწორების სისტემა აშშ-ს კონსტიტუციით-3ქ.

აშშ-ს კონსტიტუციით გამოცხადდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი-საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისფულებად.ამ დოქტრინამ ამერიკულ სინამდვილეში ახალი სახე მიიღო ჯ. ადამსის თეორიული ნოვაციების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ხელისუფლებათა ურთიერთდამოკიდებულების იდეას დაემატა „ურთიერთშეკავებისა და შეწონასწორების“ სისტემის იდეა, რომლის თანახმადაც, ხელისუფლებათა შორის წონასწორობის მისაღწევად საკმარისი არ არის მათი განცალკევება, ასევე საჭიროა მათი უფლებამოსილებების ნაწილობრივი შეთავსებაც. მაგ.: თუ აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად იქნება მოწყვეტილი საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებისაგან, მაშინ წარმოიქმნება საფრთხე მისი წინააღმდეგობისა საკანონმდებლო ხელისუფლბეასთან და ეს ყოველივე გასცდება მეტოქეობის ფარგლებს და გადაიზრდება კონფლიქტში უძლიერესის მიერ ხელისუფლების სამივე შტოს უზურპაციაში. ამ შემთხვევაში სასამართლო ხელისუფლებაც ვერ იქნება შუამავალი, რადგანაც მას აუცილებლად შეავიწროვებს ერთ-ერთი ხელისუფლება. ამიტომაც არის, რომ ხელისუფლების თითოეულ შტოს უფლება აქვს ზემოქმედება მოახდინოს სხვა დანარჩენებზე, გაანეიტრალოს მისი არაკონსტიტუციური მოქმედებები. კონკრეტულად ეს გამოიხატება პრეზიდენტის ვეტოს უფლებაში(ვეტო დაადოს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონს), ხოლო კონგრესს, პირიქით უფლება აქვს გადალახოს ვეტო, უარყოს პრეზიდენტის კანდიდატურები ფედერალურ თანამდებობეზე, განახორციელოს იმპიჩმენტის პროცედურა

და სხვა. ამ სისტემისათვის ასევე მნიშვნელოვანია უმაღლესი სასამართლოს წევრთა დამოუკიდებლობა.

31.“ჰოუმრულის“ იდეა და მისი დასაბუთება ბენჟამინ ფრანკლინის მიხედვით - 2ქ.

ჰოუმრული - ეს არის ჩრდილოამერიკული პროვინციების თვითმმართველობისა და პოლიტიკური თვითგამორკვევის იდეა. ფრანკლინის მტკიცებით, ინგლისელთა ემიგრაცია ამერიკაში ნიშნავდა მათი ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ინგლისის კანონებთან და კონსტიტუციასთან. ამის გამო კოლონისტები აღარ უნდა ჩათვლილიყვნენ ბირატნეთის ქვეშემრდომებად(გადასახლების ფაქტის ძალით) და არ უნდა დამორჩილებოდნენ ბრიტანეთის პარლამენტის გადაწყვეტილებებს. 1769 წელს ფრანკლინმა პირველად უწოდა ჩრდილოამერიკულ პროვინციიებს შტატები. ჰოუმრულის იდეა გაზიარებულ იქნა განსაკუთრებ „ბოსტონის ჩაის სმის“ შემდეგ.

32. მონარქიის კრიტიკა ტომას პეინის მიერ - 2ქ.

პეინი მკვეთრად აკრიტიკებს მმართველობის მონარქიულ ფორმას და მიუთითებს, რომ იგი ადამიანის ღირსების პირდაპირი დამცირებაა, არღვევს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ეს არის ძალადობა პიროვნების მიმართ. ინგლისისა და სხვა ქვეყნების ისტორიული გამოცდილების განხილვისას, აღნიშნავს, რომ მონარქიამ, რომელიც მემკვიდრეობითია და გულისხმობს, რომ ხშირად სამეფო ტახტს იკავებს უნიჭო და მმართველობისთვის გამოუსადეგარი პიროვნება, სისხლითა და ფერფლით დაფარა არა მარტო ინგლისი, არამედ მთელი მსოფლიო. თავისუფალ ხალხს არ უნდა ჰყავდეს სხვა მონარქი, გარდა კანონისა, რომელშიც ხალხის ნებაა გამოხატული.

33. ტ. ჯეფერსონის დამოკიდებულება მონობისადმი - 2ქ.

ტ. ჯეფერსონი მონობის წინააღმდეგ გამოდიოდა, რადგანაც თვლიდა, რომ მონობა ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას, მან დეკლარაციაში შეიტანა პუნქტი, რომელიც გმობდა მონათფმლობელობას, მაგრამ სამხრეთის

მონათმფლობელური წრეების ზეწოლით ეს პუნქტი ამოღებულ იქნა. 1784 წელს, მან შესთავაზა კონგრესს მონობის გაუქმება აშშ-ის ყველა შტატში, თუმცა მონობა გაუქმდა მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

34.ტ.ჯეფერსონის მიერ აშშ-ის კონსტიტუციის კრიტიკა - 2ქ.

იგი აკრიტიკებდა აშშ-ის 1787 წლის კონსტიტუციის ზოგიერთ პუნქტს. კერძოდ, იგი მედისონის მიმართ მიწერილ წერილში, კონსტიტუციის დიდ ნაკლად თვლიდა, მასში უფლებათა ბილის არარსებობას, რომ არ არის გარანტირებული სიტყვის, პრესის, აღმსარებლობის თავისუფლება. აღმსარებლობის თავისუფლებას იგი ბუნებით უფლებებს მიაკუთვნებდა, შესაბამისად მისი დარღვევა არც-ერთ მთავრობას არ შეეძლო. ასევე, ჯეფერსონი უარყოფითად აფასებდა პრეზიდენტის განუსაზღვრელი დროით ხელმეორედ არჩევის შესაძლებლობას. რადგან, ამით იგი მუდმივ მონარქად იქცეოდა.

35. რა არის კანონი ო. ჰოლმზის მიხედვით? - 2ქ.

ჰოლმზის თანახმად კანონი მხოლოდ კანონმდებლის აზრია სამართლის შესახებ, ეს აზრი არ არის ჭეშმარიტი სამართალი, ესაა მხოლოდ ვარაუდი იმ საკითხზე, რომელზეც სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ასე, რომ ჰოლმზის მიხედვით, სასამართლოს ფაქტობრივად სამართალშემოქმედების როლი ენიჭება, კანონი კი კარგავს ურყევი წესის მნიშვნელობას, მაშინ, როცა იგი სავალდებულო უნდა იყოს სასამართლოსთვის.

36. რა არის სამართალი ო. ჰოლმზის მიხედვით? - 2ქ.

ჰოლმზი სამართალს განმარტავს როგორც წინასწარგანჭვრეტას, თუ როგორ იმოქმედებს სასამართლო პრაქტიკაში. ჰოლმზის მიხედვით, სამართალი არის არა ნორმები, არამედ გადაწყვეტილებანი, მიღებული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ე.ი სასამართლო გადაწყვეტილებების მთელი რიგი.

37. რა ფაზებისაგან(ეპოქებისაგან) შედგება განვლილი ისტორული ციკლი ჯ. ვიკოს მიხედვით? - 2ქ.

ჯ. ვიკოს მიხედვით, განვლილი ისტორიული ციკლი შეიცავს სამ ფაზას:

1.ღვთაებრივი, ღმერთების ეპოქა.

2.გმირთა ეპოქა

3.ადამიანთქა ეპოქა

38. დაახასიათეთ ღმერთების ეპოქა ჯ,ვიკოს მიხედვით - 2ქ.

ღმერთების ეპოქისთვის უცნობია სახელმწიფოებრიობა და იურიდიული ნორმები. კანონებად აქ ითვლება მისტერიები და სამისნოთა წინასწარმეტყველებანი, რომლებიც ადამიანებს ღმერთების ნებას ამცნობენ, საზოგადეობას მართავენ ქურუმები. მატერიალური მოთხოვნები და საწინაათღმდეგო მისწრაფებათა შორის ბრძოლა საფუძველს უდებს კანონებისა და სახელმწიფოს წარმოშობას. სახელმწიფოს წარმოშობა ვიკოს მიხედვით განპირობებულია არა ინდივიდთა სუბიექტური განზარხულობით, არამედ ობიექტური აუცილებლობით.

39. დაახასიათეთ გმირთა ეპოქა ჯ. ვიკოს მიხედვით - 2ქ.

გმირთა ეპოქა ისტორიული ციკლის მეორე ფაზაა, ამ დროს სახელმწიფო არსებობს, როგორც არისტოკრატიის ხელისუფლება, რომელიც კარნახობს ანგარებით გაჯერებულ სამართლებრივ ნორმებს და სასტიკად, დაუნდლობლად თრგუნავს პლებეებს, სასამართლო აქ უხეში ძალის სამართალია.

40. დაახასიათეთ ადამიანთქა ეპოქა ჯ. ვიკოს მიხედვით - 2ქ.

ისტორიული ციკლის მესამე და ბოლო ფაზაა ადამიანთა ეპოქა. მისტის დამახასიათებელია რესპუბლიკურ-დემოკრატიული წყობილებები, ასევე წარმომადგენლობითი მონარქიები, ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო სუვერენიტეტს. კანონების საშუალებით ბრძნულად და მოქნილად არის შეტავსებული

კერძო და საჯარო ინტერესები, ისინი ადგენენ ადამიანთა შორის თანასწორობას.

41. დაასახელეთ სამართლის ისტორიული სკოლის წარმომადგენლები - 2ქ.

სამართლის ისტორიული სკოლის სახელწოდებით ცნობილი მოძღვრება გერმანიაში წარმოიშვა. მისი წარმომადგენლები იყვნენ: გუსტავ ჰუგო, კარლ სავინი, ფრიდრიხ პუხტა.

42. სამართლის წარმოშობის საკითხი გუსტავ ჰუგოს მიხედვით - 2ქ.

ჰუგოს აზრით სამართალი ზემოდან რეგულირების გზით არ წარმოიქმნება, იგი „იურიდიულ ცრურწმენას“ უწოდებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამართალი ზემოდან ჩარევის გზით იქმნება. ჰუგოს აზრით კანონი არ არის სამართლის ერთადერთი წყარო, იგი ამბობს, რომ სამართალი წარმოიშობა არა მარტო კანონმდებლობის, არამედ კანონმდებლის საქმიანობის შედეგადაც, ამის მაგალითად ასახელებს ადათობრივ სამართალს , პრეტორულ სამართალს. მოგვაინებით იგი ასაბუტებდა, რომ სამართალი ვითარდება ენასთან ერთად, ენისა და ჩვევების მსაგვსად სამართალი ყალიბდება თავისთავად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

43. სავინის შეხედულება სამართალზე - 2ქ.

სავინის აზრით სამართალს, ისევე როგორც ენას, აქვს მოცემული ხალხისთვის დამახასიათებელი ნიშნები. სამართალი არ არის კანონმდებლის თვითნებობის პროდუქტი, იგი არის „ხალხის სულის“ სულისა და ხალხის შეგნების ნაწილი.

44. პუხტას შეხედულება სამართალზე - 2ქ.

პუხტა სამართალს მიიჩნევს, ხალხის საერთო შეგნების გამოვლინებად

მისი აზრით, სამართლის ნორმის აუცილებლობა იმითაა განპირობებული,

რომ იგი წარმოადგენს საერთო შეგნების გამოხატულებას. ეს თვალსაზირისი მიუთითებს პუხტას მიერ ადათობრივი სამარლთლისტვის უპირატესობის

მინიჭებაზე. პუხტას აზრით ადათი , რომელსაც ყველა თავისი ნებით ასრულებს არის სამართლის უპირველესი წყარო. იგი სამართალს განიხილავს დამოუკიდებელ მოვლენად რომელსაც საკუთარი ისტორია გააჩნია.

45. სამართლის განმარტება კანტის მიხედვით - 2 ქ.

კანტის აზრით სამართალი ობიექტურად წარმოადგენს გარკვეულ პირობათა ერთობლიობას, რომლის მიხედვითაც ერთი ადამიანის თვითნებობა უნდა იქნეს შეთანხმებული მეორე ადამიანის თვითნებობასთან. სუბიექტურის მხრივ, კი სამართლის ნორმას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპი: მოიქეცი ან იმოქმედე ისე, რომ შენი თვითნებობის თავისუფალი გამოვლინება შეთანხმებულ იქნეს თითოეულის თავისუფლებასთან.

46. მმართველობის ფორმების კლასიფიკაცია კანტის მიხედვით - 2 ქ.

კანტი მმართველობის ფორმების კლასიფიკაციას საფუძვლად ორ ნიშანს უდებს, კანონმდებლობის შემმუშავებელ პირთა რაოდენობასა და სახელმწიფოში ხელისუფლების დანაწილების არსებობა არარსებობას. პირველი ნიშნის მიხედვით(კანონმდელობის შემმუშავებელ პირთა რაოდენობა) კანტი იძლევა მმართველობის სამ ფორმს, ესენია

1. ავტოკრატია -ანუ აბსოლუტური მონარქია
2. არისტოკრატია
3. დემოკრატია .

გარდა ამისა, იგი ასახელებს რესპუბლიკურ და დესპოტურ მმართველობებს. რესპუბლიკაში, დესპოტიისაგან განსხვავებიტ ადგილი აქვს ხელისუფლების დანაწილებას. კანტი მმართველობის საუკეთესო ფორმად მიიჩნევს აბსოლუტურ მონარქიას, რადგან იგი შედარებით მარტივია. დემოკრატია ცუდია, რადგან რთულ ფრომას წარმოადგენს. მისი თქმით, შესაძლებელია აბსოლუტური მონარქია გადაიზარდოს დესპოტიაში, მაგრამ დიდსულოვან მეფეს შეუძლია გაუმკლავდეს ამას და დაამყაროს სამართლიანობა. იგი თვლის, რომ აბსოლუტური მონარქიიდან

კონსიტტუციურ მონარქიაზე გადასვლა მხოლოდ რეფორმების გზიტ არის შესაძლებელი. დაუშვებლად მიიჩნევს რევოლუციის გზით სახელწმიფოს ფორმის შეცვლას, რადგან სახელმწიფო წყობილება და კანონები ხელშეუხებელია.

47. ლეგალური და მორალური ქცევები კანტის მხიედვით, მათი დაპირისპირება - 2 ქ.

კანტი ერთმანეთს უპირისპირებს ლეგალურ და მორალურ ცნებებს. ლეგალურია ცნება, რომელიც შეთანხმებულია იურიდიულ ნორმათან. მორალურია ნრომა, რომელიც მოითხოვს კანონის შესრულებას შნაგანი მოვალეობის შეგრძნების ძალით. ამ შეხედულებით სამართალი გაგებულია, როგორც ქცევების რეგულატორი, რომლისთვისაც სულ ერთია ქმედების სუბიექტური მხარე. მისი აზრით, სამართლისათვის დამახასიათებელია იძულება, რაც არაა დამახასიათებელი მორალისათვის. მორალის კანონი დაფუძნებულია მოვალეობის შინაგან თავისუფალ შეგნებაზე.

48. დანაშაულისა და სასჯელის კანტისეული გაგება - 2 ქ.

კანტი არის სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის იდეების აშკარა გამომხატველი. მისი აზრით დანაშაული არის სამართლიანობის დარღვევა, ხოლო სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა. იგი აღნიშნავს, რომ თუ დანაშუალი დაუსჯელი დარჩება, მაშინდ ედამიწაზე აღარ ღირს ადამიანების სიცოცხლე. სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნა კანტისთვის აუცილებელია. მას მოჰყავს მაგალითი, რომლის თანახმადაც, რომელიმე კუნძულზე მცხოვრები ხალხი თუ გადაწყვეტს დატოვოს ეს კუნძული და გადავიდეს სხვაგან საცხოვრებლად, ამასთან კუნძულზე ციხეში მოტავსებულია მკვლელი, იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს ხალხის წასვლამდე , რათა არავინ გაექცეს სასჯელს. მისი აზრით, ყველა დანაშაულებრივ ქმედებას აუცილებლად უნდა შეეფარდოს სასჯელი. ამასთანავე უნდა იყოს დაცული დანაშაულისა და სასჯელის თანაფარდობა.

49. კანტის მიერ შემუშავებული სახელმწიფოთა შორის მშვიდობის უზრუნველმყოფი პროექტი - 2 ქ.

თავის სტატიაში „მუდმივი მშვიდობისაკენ“, კანტმა წამოაყენა ხალხთა შორის მშვიდობის უზრუნველყოფის პროექტი, რომლის თანახმადაც, კანტის აზრით, ჯერ უნდა დაიდოს სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულება, რათა აღიკვეთოს მშვიდობიანი თანაარსებობის ხელისშემშლელი გარემოებები, ხოლო ამის შემდეგ საბოლოო ხელშეკრულება, რომლითაც შეიმქნება სახელწმიფოტა კავშირი და განისაზღვრება ასეთი სახელმწიფოებრივი ფორმა.

50. სამათლის ცნება ვიწრო და ფართო გაგებით ჰეგელის მიხედვით - 3 ქ.

ჰეგელის აზრით, სამართალი არის „თავისუფალი ნების სახეზე ყოფნა:, რომელიც ხორციელდება მმთელი რიგი აღმავალი საფეხურების გავლის შემდეგ.

1.პირველი საფეხური გამოიხატებბა პიროვნების მიერ ნივთის მფლობელობაში და პიროვნების სხვებთან ურთიერთობაში ან საკუთრების ან სამართალდარღვევის გამო. ამ საფეხურს ჰეგელი უწოდებს აბსტრაქტულ სამართალს.

2. მეორე საფეხური კი მოიცავს პიროვნებისა და მისი ქმედებების ურთიერთდამოკიდებულებას. ამ საფეხურს ჰეგელი უწოდებს მორალს. მორალი მოითხოვს რომ სიკეთისა და ბოროტების შესახებ სუბიექტური განსჯა იქნეს ობიექტურად შეფასებული. მორალის შემდგომი და უმაღლესი საფეხური კი არის ზნეობა.

შესაბამისად, ჰეგელი განამტკიცებს სამართლის ცნებას ფართო და ვიწრო გაგებით. ვიწრო გაგებით სამართალი, იგივე აბსტრაქუტლი სამართალი, არეგულირებს ადამიანთა ურთიერთობას, მათ დამოკიდებულებას ნივთებთან. ხოლო სამართალი ფარტო გაგებით მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროს, სახელმწიფოსაც და მსოფლიო ისტორიასაც. მორალი და ზნეობა ერთმანეთს არ ემთხვევა. ჰეგელის აზრით მორალი არის პირის მიერ ბოროტებისა და სიკეთის ობიექტური შეფასება, ხოლო ზნეობა ის წესრიგია, რომელიც მყარდება ადამიანთა სხვადასხვა ურთიერთობის შედეგად.(მაგალითად ოჯახში, საზოგადეობაში სახელმწიფოში...)

51.რას ნიშნავს აბსტრაქტული სამართალი ჰეგელის მიხედვით - 2ქ.

ვიწრო გაგებით სამართალი, იგივე აბსტრაქუტლი სამართალი, არეგულირებს ადამიანთა ურთიერთობას, მათ დამოკიდებულებას ნივთებთან. იგი გამოიხატებბა პიროვნების მიერ ნივთის მფლობელობაში და პიროვნების სხვებთან ურთიერთობაში ან საკუთრების ან სამართალდარღვევის გამო.

52. მორალისა და ზნეობის გაგება ჰეგელთან - 2ქ.

მორალი და ზნეობა ერთმანეთს არ ემთხვევა. ჰეგელის აზრით მორალი არის პირის მიერ ბოროტებისა და სიკეთის ობიექტური შეფასება, ხოლო ზნეობა ის წესრიგია, რომელიც მყარდება ადამიანთა სხვადასხვა ურთიერთობის შედეგად.(მაგალითად ოჯახში, საზოგადეობაში სახელმწიფოში...)

53.დანაშაულისა და სასჯელის ჰეგელისეული გაგება - 2ქ.

ჰეგელი ეხება სამართალდარღვევის მიზეზებს და ამბობს , რომ აქ კერძო ნება ეწინააღმდეგება საერთო ნებას, რითაც ირღვევა სამართალი. მისი აზრით დანაშაული უსამართლობაა და წარმოადგენს სამართლის უარყოფას. სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ სამართლის უარყოფის უარყოფით, ანუ სასჯელითაა შესაძლებელი. იგი სასჯელს აფასება, როგორც თვითმიზანს და არა როგორც დაშინების ან გამოსწორების საშუალებას. ჰეგელის აზრით სასჯელი არის სამაგიეროს მიზღვა, მაგრამ არა შურისძიება. იგი უარყოფს ტალიონის პრინციპს. მისი აზრით, სასჯელის შეფარდება აუცილებელია, უფრო მეტიც, დასჯას იგი დამნაშავის უფლებას უწოდებს, იმიტომ , რომ დანაშაულის სახით დამნაშავემ განახორციელა საკუთარი ნების გამოვლენის აქტი, რომელიც უარყოფს სამართალს და რომელსაც უნდა მოჰყვეს სამართლის უარყოფის უარყოფა, ე.ი სამართლის აღდგენა სასჯელის გზით.

54. რას ეძღვნება გროციუსის ნაშრომი თავისუფალი ზღვა? – 2 ქ.

ამ ნაშრომში გროციუსი ჰოლანდიელთა თავისფულად ნაოსნობის სამართლიანობას ასაბუთებს. იგი მიმართლი იყო ესპანელთა წინააღმდეგ,

რომლებიც ამტკიცებდნნენ, რომ ესპანეთის ზღვაში განუყოფელი ნაოსნობის უფლბეა რომის პაპისაგან ჰქონდათ მიღებული. იგი ილაშქრებდა ასევე ინგლისის წინააღმდეგ, რომელიც ესპანეთის მსგავსად ზღვაზე განუყოფელი ნაოსნობის უფლებას იჩემებდა.

55. რა არის ბუნებითი სამართალი გროციუსის მიხედვით? – 2 ქ.

გროციუსის აზრით სამართალი ღმერთის ნებისგან კი არა ადამიანის ბუნებიდან მომდინარეობს. ადამიანებს აქვთ მიდრეკილება, საზოგადეობისაკენ , სხვა ადამიანებისაკნე და სწორედ ადამიანთა ეს მიდრეკილებაა სამართლის წყარო. მისი აზრით, სამართალი დაფუძნებულია თვით ადამიანთა ბუნებაში და არსებობს მიუხედავად ადამიანთა მიერ დადგენილი კანონებისა.

56. რა მოთხოვნებიდან გამომდინარეობს ადამიანის სწრაფვა საზოგადეოსიკენ რას ადამიანის ბუნებაშია ჩადებული? – 2ქ.

გროციუსის აზრით ადამიანის საზოგადეობისკენ სრწაფვა, რაც მისსავე ბუნებაშია ჩადებული, ეფუძნება გარკვეულ მოთხოვნებს, როგორებიცაა: სხვისი ქონებისაგან თავის შეკავება, სხვისი ნივთის უკან დაბრუნება, პირობის შესრულება, ზარალის ანაზღაურება(რაც ჩვენი ბრალითაა მიყენებული), ასევე ადამიანებისადმი შესაბამისი სასჯელის მიზღვა. ყოველივე ამას გროციუსი ბუნებითი სამართლის ნორმებად მიიჩნევს.

57. სახელმწიფო და მისი წარმოშობის საფუძელი გროციუსის მიხედვით -2 ქ.

ჰუგო გროციუსის აზრით, სახელმწიფო არის ორგანიზაცია „სარგებლიანობის მოსატანად“. იგი არის ადამიანთა კავშირი საერთო სარგებლობისა და უფლებების დასაცავად. ამრიგად, სახელმწიფო არის ადამიანთა მოღვაწეობის შედეგი, რომელიც შეიმქნა ხელშეკრულების დადებით.

58. გროციუსი კერძო საკუთრების წარმოშობის შესახებ - 2 ქ.

მისი აზრით, კერძო საკუთრება წარმოიშვა ადამიანტა შეთანხმების შედეგად. ერთი მხრივ აშკარა შეთანხმებით, საკუთრების გაყოფით, და

მეორე მხრივ უსიტყვოდ ე.ი საკუთარი ნებით, ქონებისა თუ მამულების დაუფლების გზით. ვინაიდან საკუთრების უფლება ადამიანის ნებისაგან გამომდინარეობს, სხვისი ქონების მისაკუთრება მისი ნების გარეშე არამართლზომიერია. საკუთრების უფლებას იგი განმარტავს, როგორც ნივთის განკარვის ან გასხვისების შესაძლებლობას.

59. სახელმწიფო ხელისუფლების ფარგლების საკითხი სპინოზას მიხედვით -2ქ.

  სპინოზა განიხილავს სახელმწიფო ხელისუფლების ფარგლებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სურს დაადგინოს თუ რომელ ბუნებით უფლებებს ვერ შეეხება სახელმწიფო. მისი აზრით, სახელმწიფომ არ უნდა ხელყოს ადამიანის აზრი და რელიგიური თავისუფლება, მაგრამ სხვაგან იგი მოითხოვს რომ რელიგიურ თავისუფლებას გარკვეული საზღვრები ჰქონდეს. იგი აკრიტიკებს საეკლესიო კულტის მსახურთ, რომლებიც ზღუდავენ აზრის თავისუფლებას, ამცირბეენ ადამიანის გონებას. სპინოზა მეცნიერების განვითარებისტვის ნიადაგის მოსაზმადებლად განათლების შემოღებას მოითხოვდა.

60. სახელმწიფო წარმოშობა ჰობზის მიხედვით - 3ქ.

  ჰობზი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც დიდ მექანიზმს , რომელიც წარმოიშვა ადამიანთა მისწრაფებებისა და მიდრეკილებების მოძრაობის შედეგად. სახელმწიფოს წარმოშობის სადადგენად იგი ცდილობს გაარკვიოს რას წარმოადგენს ადამიანი. მისი აზრით ადამიანთა საზოგადოებაში აგერთიანება ხდება შიშისა და ეგოისტობის, სხვაზე გაბატონების სურვილის მიზეზით. ადამიანები ბუნებით მდგომარეობაში მტრულად იყვნნენ ერთმანეთისადმი განწყობილნი, სძულდათ ერთმანეთი. იგი ამბობდა : „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“. ბუნებითი მდგომარეობა ეს არის ყველას ომი ყველას წინააღმდეგ. აქედან გამოსავალი არის გონების მოშველიება. გონების მოთხოვნას კი ბუნებით კანონებს უწოდებს. ბუნებითი კანონებიდან უმთავრესია მშვიდობის დამყარება, ამისთვის საჭირო გახდა საზოგადოებრივი ხელშეკრულების დადება, რაც ადამიანებს ბბუნებითი მდგომარეობიდან გამოიყვანდა და სახელმწიფოს შექმნიდა.

შესბამისად ჰობზის მიხედვით მეორე ბუნებითი კანონია ხელშეკრულების აუცილებლად შესრულება. (აქვე განიხილავს არაძირითდად კანონებს, როგორებიცაა: სიკეთის გამოვლენის მოვალეობა, წყენინების პატიება, სხვებისადმი პატივისცემა და ა.შ)

61. ინდეპენდენტთა შეხედულებები სახელმწიფოსა და სამართალზე- 2ქ.

ინდეპენდენტების მოძღვრება პურიტანიზმის, ანუ რელეგიური მოძღვრების ერთ-ერთ მიმდინარეობას წარმოადგენდა. იგი მიმართული იყო ფეოდალური ეკლესების წინააღმდეგ. მოითხოვდნენ რელიგიურ თავისუფლებას. არ ემხრობოდნენ რესპუბლიკას და მოითხოვდნენ შეზღუდულ კონსიტუციურ მონარქიას. მათი ცნობილი წარმომადგენლები არიან ჯონ მილტონი და ოლჯერონ სიდნეი. არც-ერთი მათგანი არ ყოფილა სახელმწიფოს დემოკრატიული წყობის თანმიმდევრული მომხრე. გამოხატავდნენ მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის ინტერესებს და ემხრობოდნენ ინდეპენდენტთა სხვა წარმომადგენლების მსაგვსად კომპრომისს და კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას.

62. ლეველერების შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე -2 ქ.

ინდეპენდენტების პარტიის მემარცხენე ფრთიდან ჩამოყალიბდა გამთანასწორებლების პარტია, რომლის ცნობილი წარმომადგენელი იყო ჯონ ლილბერნი. მისი ქადაგებით, სახელმწიფო ხელშეკრულების გზითაა წარმოშობილი, ამდენად ინგლისელმა ხალხმა უნდა აღკვეთოს მთავრობის თვითნებობა. მთავრობის წევრებმა ანგარიში უნდა წარუდგინონ პარლამენტს. ინგლისის საზოგადოების განვითარების მუხრუჭია პარლამენტის ზედა პალატა.

სისხლის სამართალში ლილბერნი აყენებდა პრინციპს: „არაა დანაშაული კანონის გარეშე“. იგი მოითხოვდა კანონის წინაშე ყველას თანასწორობას. ასევე სასამართლოს ბურჟუაზიულ პრინციპზე აგებას, რომლის მიხედვით სასამართლოში მართლმსაჯულებას უნდა ახორციელებდეს 12 მსაჯული. ლეველერები მოითხოვდნენ მხოლოდ პოლიტიკური უფლებებისა და არა საკუთრების ხაზით თანასწორობას.

63.ჯ. ლოკი კერძო საკუთრების მისი წარმოშობის, სახელმწიფო წარმოშობისა და ბუნებითი მდდგომარეობის შესახებ - 3ქ.

სხვა ბუნებით უფლებებებთან ერთად, ჯონ ლოკი კერძო საკუთრებას განიხილავს ბუნებით უფლებად. მისი აზრით, კერძო საკუთრება ჯერ კიდევ სახელმწიფოს წარმოშობამდე წარმოიშვა და იგი როგორც ინდიივიდის ერთ-ერთი ბუნებითი უფლება არსებობს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად. იგი ბუნებითი წარმომადგენლების მსგავსად სახელმწიფოს წარმოშობასადა და არსს ხსნის ბუნებითი თეორიით და მიუთითებს, რომ მართალია, ადამიანთა ბუნებრივი მდგომარეობის დროსაც არსებობდა თავისუფლება და საკუთრება, თუმცა მათ საფრთხე ემუქრებოდათ. სწორედ ამიტომ, ადამიანებმა საკუთარი უფლებების ნაწილი სახელმწიფოს გადასცეს, მაგრამ არა ყველა, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ, იმ რაოდენობით, რა რაოდეონბაც საჭიროა მშვიდობბის დასამყარებლად.ჯონ ლოკის აზრით აბსოლუტური მონარქია ეწინააღმდეგება ბუნებით მოთხოვნებს. ბუნებითი სამართლის მოძღვრებას იგი კონსტიტუციური მონარქიის დასასაბუთებლად იყიენებს.

64. ჯ. ლოკისეული ხელისფულების დანაწილების თეორია - 2ქ.

ჯ. ლოკი ერთმანეთისაგან განარჩევს სამი სახის ხელისუფლებას: საკანონმდებლო, აღმასრულებელი, საკავშირო ანუ ფედერაციული. საკანონმდებლო ხელისუფლება გამოსცემს კანონებს, აღმასრულებელი ასრულებს ამ კანონებ, ხოლო ფედერაციული - მართავს საგარეო პოლიტიკის საკითხებს. სასამართლო ხელისუფლება შთანთქმულია აღმასრულებლის მიერ. მისი აზრით, საკანონდმებლო ხელისუფლებას უნდა ახორციელებდეს პარლამენტი, აღმასრულებელს - მთავრობა, ხოლო ფედერაციულს-განსაკუთრებული ორგანოები. ჩამოთვლილთაგან, ჯონ ლოკის აზრით, უმთავრესია საკანონმდებლო ხელისუფლება, თუმცა ისიც არ არის უმაღლესი და აბსოლუტური. იგი შეზღუდულია ადამიანის ბუნებითი უფლებებით, მაგალითად, მას არ შეუძლა გადასახადების დაწესება ხალხის თანხობის გარეშე.

65. კლიმატისა და ნიადაგის გავლენა კანონმდებლობაზე მონტესკიეს მიხედვით - 2ქ.

მონტესკიეს აზრით, კანონმდებლობაზე მოქმედებს ასევე ნიადაგი. ნაყოფიერი ნიადაგი ხელს უწყობს დამორჩლებას,რადგან ის ვინც მიწათმოქმედებას მისდევს მხოლოდ თავისი საქმეებითაა დატვირთული და ვეღარ ინარჩნებს თავისუფლებას. უნაყოფო ნიადაგი კი პირიქით, ხელს უწყობს თავისუფლებას, რადგან მასზე მცხოვრები ადამიანები, იძულებულნი არიან დამოუკიდებლად მოიპოვონ სარჩო. უნაყოფო ნიადაგი ადამაინებს აწრთობს, მამაცად და მეომრად აქცევს მათ, იმისთვის, რომ მათ დაიცვან საკუთარი თავისუფლება.

66. რუსოს შეხედულებები სახელმწიფოსა და სამართალზე- 3ქ.

რუსოს აზრით, სახელმწიფოს წარბოშობამდე ადამიანი იყო ბუნებრივ მდგომარეობაში, ამ მდგომარეობაში ყველა ადამიანი თანასწორი იყო. არ არსებობდა კერძო საკუთრება და პოლიტიკური უფლებები ადამინი კი კეთილი და სამართლაინი იყო. პოლიტიკური დაწესებულების ჩამოყალიბებამ იგი აქცია ბოროტ და აუტანელ არსებად.

რუსოს აზრით, კერძო საკუთრება წარმოიშვა მას შემდეგ რაც განვითარდა საწარმოო იარაღები და ადამიანებმა იწყებს განცალკევება. ადამიანები ცალ-ცალკე ამუშავებდნენ მიწებს რასაც მოჰყვა კერძო საკუთრების წარმოშობა. საზოგადეობის მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის ბრძოლა კერძო საკუთრების მიზეზით მიმდინარეობდა, მათ კი არ გაანადგურეს ერთმანეთი, არამედ შექმნეს სახელმწიფო. რუუსოსთვის სახელწმიფო არის შემოქმედებს პროდუქტი, ხელშეკრულების შედეგი. სვამს კითხვას, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ადამიანებს გაენადგურებინათ სახელწმფიო და დაბრუნებოდნენ ოქროს საუკუნეს, თუმცა ამ კითხვაზე უარყოფიათად პასუხობს. მისი აზრით, მთავარია, რომ ამდამიანებმა შექმნან სახელმწიფო, სადაც ყველა თანასწორი იქნება. ასეთად კი დემოკრატიულ რესპუბლიკას განიხილავს, სადაც კანონმდებლობას შეიმუშავებს მთელი ხალხი, მასში გამოხატული იქნება საერთო ნება. ასეთ კანონებს ხალხი ნებაყოფლობით შეასრულებს, რადგან იქნება მათი ნების

გამოხატულება. მას მიზანშეწონილად მიაჩნია ხელშეკრულების(რომელმაც შექმნა სახელმწიფო) დარღვევისას ხალხის აჯანყება.

67. რა შემთხვევაში თვლის თომა აკვინელი შესაძლებლად სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყების მოწყობას? – 2ქ.

თომა აკვინელი გრძნობს ხელისუფლებისა და ეკლესიის მოსალოდნენ კონფლიქტებს, ამიტომ ამბობს, რომ დასაშვებია სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა, აჯანყებაც კი, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში:

1. თუ ხელისუფლება უკანონოდაა მოპოვებული
2. თუ ხელისუფლება ბოროტად გამოიყენება
3. ღვთიური კანონების დარღვევისას(საეკლესიო კანონები)

თომა აკვინელი მიზანშეწონილად არ თვლის მეფის მოკლვას, რადგან ეს საზიანო იქნება სახელმწიფოსათვის.

68. თომა აკვინელი სახელმწიფოს ფორმების შესახებ, მონარქიის უპირატესობის დასაბუთება – 2ქ.

თომა აკვინელი განასხვავებს სახელმწიფოს ფორმებს, ესენია: ოლიგარქია, დემოკრატია, სახელმწიფოს შერეული ფორმა(არისტოკრატია+დემოკრატია), მონარქია. იგი ამ ფორმებს შორის უპირატსეობას ანიჭებს მონარქიას, მონარქი მხოლოდ მმართველი კი არა, არამედ შემოქმედია, რადგან იგი ამოძრავებს ნებისმიერი სახელწმიფო მექანიზმს. იგი აღნიშნავს, რომ მონარქი სახელმწიფოში იგივეა, რაც ღმერთი -სამყაროში, ადამიანის ოგრანიზმში გული დან დედა ფუტკარი სკაში და ა.შ მისი აზრით, იქ სადაც ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს და არ არის დამყარებული მონარქია, ადგილი აქვს ანარქიასა და არეულობას.

69. კანონთა სახეები და მათი არსი თომა აკვინელის მიხედვით - 3ქ.

თომა აკვინელი გამოყოფს კანონების ოთხ კატეგორიას:

1.მუდმივი კანონი-ეს არის ღვთაებრივი გონი, რომელიც მართავს სამყაროს, იგი არის კანონის საფუძველთა საფუძველი და გამოხატულებას ჰპოვებს ბუნების მოვლენებში.

2. ბუნებითი კანონი- ეს არის მუდმივი კანონის გამოხატულება ცოცხალ არსებებში. ამ კანონებით ხდება მაგალითად, ბავშვების დაბადება, აღზრდა. ბუნების კანონები არის ასევე ადამიანთა მიერ შედგენილი კანონების საფუძველი. თომა აკვინელის აზრით ისინი არის იგივე მუდმივი კანონები, იმ განსხვავებით, რომ მოქმედებს ცოცხალ, ორგანულ, სამყაროში. ისინი ადგენენ მორალის ნორმებსაც.

3.ადამიანური კანონები- ეს არის დადებითი სამართალი. მაგალითად, მკვლელობისათვის დასჯის მოთხოვნა კი მოცემულია ბუნებით სამართალში, მაგრამ სასჯელის სიდიდე და ხასიათი დგინდება სწორედ პოზიტიური სამართლით. შესაძლებელია , რომ ადამიანთა კანონები არ დაემთხვეს ბუნებით კანონებს.

4. ღვთაებრივი კანონები- არის წმინდა წერილის გამოხატულება, მისი დანიშნულებაა გამოასწოროს და შეასწოროს ადამიანთა კანონები.

70.მარსილიო პადუელის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე – 2ქ.

პადუელის აზრით, სახელმწიფოს დანიშნულებაა უზრუნველყოს მისი წევრების ფიზიკური და სულიერი ბედნიერება. სახელმწიფოს წარმოშობას წინ უძღვოდა ოჯახი, გვარი, ტომი და ქალაქი. მისი აზრით, საკანონმდებლო უფლებამოსილება მხოლოდ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს. მმართველობის უმჯობეს ფორმად ასახელებს მონარქიას. განასხვავებს მემკვიდრეობით და არჩევით მონარქიას, უპირატესობას არჩევითს ანიჭებს. მისი აზრით სახელმწიფოში უნდა იქნეს შენარჩუნებული სულ 6 წოდება:მიწათმოქმედთა, ხელოსანთა, ვაჭართა, სასულიერო, ადმინისტრაციული და სამხედრო.

იგი გამოთქვამს თავის მოსაზრებას იურიდიული და რელიგიური კანონების შესახებ, მისი აზრით სამღვდელობამ იმისთვის, რომ უბიძგოს

ხალხს რელიგიური კანონების შესრულებაზე , უნდა მიმართოს არა იძულების ,არამედ დარწმუნების მეთოდს. სახარება კანონი კი არ არის, არამედ სწავლებაა, მოძღვრებაა. რწმენის ფარგლებში იძულება დაუშვებელია. რელიგიური კანონები რწმენის სფეროში შედის და მას ხალხი ნებაყოფლობით უნდა ასრულებდეს.

71. ჟან კალვინი ღვთაებრივი წინაასწარგანზრახულობის დოგმატისა და ამ დოგმატიდან გამომდიანრე ვალდებულებების შესახებ - 3ქ.

ღვთაბერივი წინასწარგანზრახულობის დოგმატის მიხედვით, ღმერთმა წინასწარ განუსაზღვრა ადამიანთა ერთ კატეგორიას გადარჩენა და ნეტარება, ხოლო მეორეს- გარდაუვალი დაღუპვა. ადამიანები ვერ შეცვლიან ღმერთის ნებას, მათ მხოლოდ იმის გაგება შეუძლიათ, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნებიან. ამის დადგენა თავიანტი ცხოვრების მიხედვით შეუძლიათ. თუ მათი ღმერთისგან განსაზღვრული პროფესიული საქმიანობა წარმატებით მიდის, ღვთისნიერნი, სათნონი და შრომისმოყვარენი არიან, ემორჩილებიან ხელისუფლებას, ეს ნიშნავს რომ ღმერთი კეთილგანყწობილია მატ მიმართ და პირველ კატეგორიას მიეკუტვნებიან. თუ ყველაფერი პირიქითაა, გამოდის, რომ ღმერთი მათ უარყოფს და დაღუპოვა გარდაუვალია.

ამ დოგმატიდან გამომდინარეობდა ვალდებულება, რომ ადამიანს მიეძღვნა საკუთარი თავი პროფესიისადმი, ყოფილიყო მაქსიმალურად მომჭირნე, ზიზღით განწყობილი სიამოვნებებისა დ ამფლანგველობისადმი. ასევე ღვთაებრივი წინასწარგანზრახულობის დოგმატის თანახმად, წოდებრივი განსვხავებები და ფეოდალთა კეთილშობილური წარმოშობა არც თუ ისე მნიშვნელოვანია, რადგან ისინი არ განაპირობებენ ადამიანთა გადარჩენას .

72.თემების საეკლესიო მმართველობა ჟან კალვინის საეკლესიო რეფორმის შემდეგ – 2ქ.

კალვინმა ძირეული საეკლესიო რეფორმები გაატარა. საეკლესიო თემებს ამ რეფორმის შემდეგ უხუცესები, იგივე პრესვიტერები,

ხელმძღვანელობდნენ, რომლებსაც ჩვეულებრივ ირჩევდნენ მდიდარი ერისკაცებისაგან და აგრეთვე მქადაგებლები, რომლებსაც არ ჰქონდათ სპეციალური სასულიერი წოდება, ისინი რელიგიურ ფუნქციებს ასრულებდნენ, როგორც სამსახურეობრივ მოვალეობას. პრესვიტერები მქადაგებლებთან ერთად შეადგენდნენ კონსისტორიას. კონსისტორია განაგებდა თემის რელიგიურ ცხოვრებას.

73. კლიმატის გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ჟან ბოდენის მიხედვით – 2ქ.

ჟან ბოდენის აზრით საზოგადეობის ცხოვრებაზე ზემოქმედების გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს კლიმატი. იგი კლიმატის თავისებურებებით ხსნის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ხალხებს შორის განსხვავებას. ჩრდილოეთის მხარის კლიმატი ხელს უწყობს ადამიანში სიმამაცის გრძნობის გამომუშავებას, რაც განაპირობებს იმას, რომ ჩრდილოეთს ხალხები ყალიბდენიან გარკვეულ სამხედრო ორგანიზაციად და მუდამ ომის საფრთხეს ქმნიან. სამხრეთის კლიმატი კი, ხელს უწყობს ადამიანის გონების განვითარებას. ამიტომ ყვავის უძველესი დროიდან სამხრეთის ქვეყნებში მეცნიერება. ზომიერი კლიმატის ქვეყნებში მცხოვრებბი ადამიანები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ პოლიტიკისა და ორატორული ხელოვნების მიმართ.

74. ოჯახი როგორც სახელმწიფოს საფუძველი ჟან ბოდენის მიხედვით, ოჯახისა და სახელმწიფოს განსხვავებები - 3ქ.

მისი აზრით სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს ოჯახი, ოჯახის წევრებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც განსაზღვრავს ოჯახის ფორმებს საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე. აქედან ბოდენი აკეთებს დასკვნას, რომ სახელმწიფო არის გაზრიდლი ოჯახი, მაგრამ , რა თქმა უნდა, არსებობს სახელმწიფოსა და ოჯახს შორის გარკვეული განსვხავებები, კერძოდ:

1. საზოგადოების უმნიშვნელოვანესი თავისებურება, რაც განასხვავებს მას ყველა სხვა საზოგადოებრივი ერთეულისაგან, არის სახელმწიფო

ხელისუფლების სუვერენიტეტი. სახელმწიფო ხელისუფლების სუვერენიტეტის ცნება განმსაზღვრელია იმისა, რომ მეფესა და ხალხს შორის იგი განუყოფელია.

2. სუვერენულ ხელისუფლებას აქვს მუდმივი ხასიათი, მისი გადაცემა არ შეიძლება არც დროებით და არც პირობით.
3. სუვერენული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება შეუზღუდავია, შესაბამისად იგი ყველა იმ კანონზე მაღლა დგას, რაც მას დაუდგენია და გამოუცია.

75. სახელმწიფო ხელისუფლების შემზღუველი ფაქტორები ჟან ბოდენის მიხედვით – 2ქ.

ჟან ბოდენი ფიქრობს, რომ დაუშვებელია სახელმწიფო ხელისუფლების გსანუსაზღვრელი ძალაუფლება, იგი უნდა შეიზღუდოს რამდენიმე ფაქტორის არსებობისას:

1. პირველ რიგში, შემზღუდველ ფაქტორს წარმოადგენს ბუნებითი კანონები, ისინი ბუნებისგანაა დადგენილი და ყოველგვარი სახელმწიფო ხელისუფლება, კანონების დადგენისას უნდა ხელმძღვანელობდეს ბუნებითი კანონებით.
2. კერძო საკუთრების არსებობა საზოგადოებაში არის მეორე შემზღუდველი ფაქტორი. კერძო საკუთრება არის საზოგადოების საფუძველი, ამიტომ მონარქი უნდა იცავდეს მას. გადასახადების დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესები.

76. სუვერენული ხელისუფლების განუყოფლობა ჟან ბოდენის მიხედვით – 2ქ.

ჟან ბოდენის პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენს ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო და ვინაიდან სახელმწიფო ხელისუფლების სუვერენიტეტი გულისხმობს მის განუყოფლობას, ხელისუფლება ყოველთვის ერთ პირს და ერთ რომელიმე კრებას უნდა ეკუთვნოდეს.

77. ჟან ბოდენი სახელმწიფოს ფორმების შესახებ, მისი დამოკიდებულება ამ ფორმებისადმი – 2ქ.

ჟან ბოდენი აყალიბებს საკუთარ შეხედულებას სახელმწიფო ფორმების შესახებ. მონარქიის მიმართ იგი უარყოფითადაა განწყობილი და ფიქრობს, რომ ხალხს რომ ძალაუფლება ჩაუვრდეს ხელში ანარქია დაისადგურებს, რადგან ხალხს არ შეუძლია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხების მიმართ მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. იგი აკრიტიკებს არისტოკრატიულ ფორმასაც, რადგან მას არ შეუძლია საზოგადეობა იხსნას რევოლიციისაგან.ერთადერთ მისაღებ ფორმად მას მონარქია მიაჩნია.ჟან ბოდენი გამოყოფს მონარქიის შემდეგ სახეებს:

1. კანონიერი მონარქია- მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე ხელისუფლების სათავეში დგას მეფე
2. სენიორალური მონარქია-ძალადობრივი გზით დამყარებული მონარქია
3. ტირანია-მონარქიის შერყვნილი ფორმა

78.მონარქიის სახეები ჟან ბოდენის მიხედვით – 2ქ.

ჟან ბოდენი გამოყოფს მონარქიის შემდეგ სახეებს:

4. კანონიერი მონარქია- მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე ხელისუფლების სათავეში დგას მეფე
5. სენიორალური მონარქია-ძალადობრივი გზით დამყარებული მონარქია
6. ტირანია-მონარქიის შერყვნილი ფორმა

79. იდეალური საზოგადოებრივი წყობილება ტომაზო კამპანელას „მზის ქალაქის“ მიხედვით- 3ქ.

მზის ქალაქში არ არსებობს კერძო საკუთრება და შრომა სავალდებულოა ყველასთვის. მოსახელობა პროფესიას მიდრეკილებისა და იმის მიხედვით ირჩვეს, რისი უნარიც გააჩნია, თუმცა მიწათმოქმედება,

მესაქონლეობა და სამხედრო საქმე ყველასთვის სავალდებულოა.სამხედრო საქმე სავალდებულოა როგორც კაცებისთვის ისე ქალებისთვის. მძიმე სამუშაოები, მაგალითად მჭედლობა საპატიო საქმედ ითვლება. აქ არ არსებობს მონობა. კერძო საკუთრების არ არსებობის გამო ადამიანები კი არ ემსახურებიან ნივთებს, არამედ ნივთები ემსახურებიან ადამიანებს. თვეში ორჯერ ხდება ე.წ დიდი საბჭოს სხდომის მოწვევა, რომელშიც მონაწილეობენ 20 წელს მიღწეული მოქალაქეები. ამ სხდომაზე ხდება მაღალი თანამდებობის პირთა არჩევა და შეცვლა. იდეალური სახელმწიფოს მმართველია სასულიერო პირი რომელიც მზედ იწოდება. სახელმწიფო მართვის საქმეში მას ეხმარება- პონი, სინი და მორი, რაც ნიშნავს ძალას, სიბრძნესა და სიყვარულს. ძალა ომისა და მშვიდობის საქმე ხელმძღვანელობს, სიბრძნე-მეცნიერებასა და ხელოვნებას, სიყვარული-გამრავლებას, აღზრდას, მედიცინას, მიწათმოქმედებასა და ყველაფერს რაც ყოფა-ცხოვრებასთანაა დაკავშირებული.

80.პტახოტეპის სწავლება- 2 ქ.

პტახოტეპის მოძღვრებაში თავს იჩენს ეგვიპტის წარჩინებული ფენების შეხედულებანი. პტახოტეპის თანახმად, უთანასწორობა ბუნებრივი და სამართლიანია. იგი მდაბიოებს კეთილშობილთა მორჩილებისკენ მოუწოდებს:“კეთილშობილთა წინაშე ხელები უნდა ჩამოუშვათ და ქედი უნდა მოიხაროთ“. ამასთანავე, იგი კეთილშობილებს მოუწოდებს, რომ არ იყვნენ ამაყები და არ დაჩაგრონ და დაამცირონ მდაბიოები. მისი აზრით დაშინება ღმერთისა და მეფის გარდა არავის შეუძლია. იგი ერთის მხრივ, იძლევა რჩევებს სიმდიდრის მოსაპოვებლად, ხოლო მეორეს მხრივ, აკრიტიკებს სიმდიდრს მომხვეჭელებს და ამბობს, რომ სიმდიდრე არის მომაკვდინებელი ავადმყოფობა, რომელიც ანგრევს ოჯახს და ანადგურებს ნათესავთა შორის კეთილ დამოკიდებულებას.

81. მეფე ახტოის სწავლება - 2 ქ.

მეფე ახტოის სწავლება თავისი შვილისთვისაა. სწავლების თანახმად, აუცილებელია მშრომელთა მკაცრი და ამავდროულად ფრთხილი

დათრგუნვა. ასევე აუცილებელია ამბოხებულთა წინააღმდეგ დაუნდობლობა , მონათა აჯანყება ცეცხლითა და მახვილით უნდა იქნეს ჩახშობილი. ხალხის გამოსვლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა გარკვეულ დათმობებზე წასვლა.

82. ძველი ბაბილონის მოძღვრებები სახელმწიფოსა და სამართალზე - 2 ქ.

ბაბილონის პოლიტიკური იდეოლოგია გამსჭვალულია რელიგიური წარმოდგენებით. მათი აზრით, ღმერთები განაგებენ ადამიანთა ბედს, რომლებიც ღმერთების ხელშეწყობით იგერიებენ და თავს ესხმიან ამა თუ იმ ხალხებს. გაბატონებული ფენების შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე რელიგიურ ხასიათს ატარებს. ჰამურაბის კანონებში აღნიშნულაი, რომ მეფის ხელისუფლება ღვთიური წარმოშობისაა. მეფე, ჰამურაბის აზრით, ღმერთის მსგავსი არსებაა, რომელიც იცავს სუსტებს, არის სამართლიანი, ბრძენი და ძლიერი. ჰამურაბი თავის კანონებს მონათმფლობელტ ინტერესების გამომხატველ და სახელმწიფო ინტერესების განმტკიცების იარაღად მიიჩნევს. ამასთანავე, მოუწოდებს შთამომავლობას, რომ არავითარი ცვლილებები არ შეიტანონ მის მიერ დადგენილ კანონებში.

83. ბრაჰმანიზმის სამართლებრივი იდეოლოგია - 2 ქ.

ბრაჰმანები ძველ ინდოეთში ქურუმები იყვნენ. მათ შექმნეს ახალი იდეოლოგია ბრაჰმანიზმი, რომლის ჩანასახები გვხვდება ძველინდურ საღვთო წიგნებში-ვედებში. ვედებშია საუბარი საზოგადოების 4 ვარნად დაყოფაზე:

ბრაჰმანები(ქურუმები), ქშატრიები(მეომრები), ვაიშები(მიწათმოქმედები, ხელოსნები და ვაჭრები), შუდრები(უმდაბლესი ვარნა), ბრაჰმანიზმი, როგორც იდეოლოგია მიმართული იყო ბრაჰმანებისა და საგვარეულო არისტოკრატიის გაბატონებული მდგომარეობის უზრუნველსაყოფად. პირველი ორი ვარნა გაბატონებული, პრივილეგირებულია, ხოლო ორი დანარჩენი-დაქვემდებარებული. ბრაჰმანები ადამიანების ქცევასა აფასებდნენ იმისდა მიხედვით, თუ როგორ ასრულებდა იგი მისთვის

დაკისრებულ მოვალეობას-დხარმებს ე.ი საკულტო , საუჯახო და საზოგადეობრივ ვალდებულებებს, რომლებიც თითოეული ვარნისთვის ღმერთების მიერაა დაწესებული.(თუ ადამიანი კარგად ასრულებდა დხარმას, მაშინ მომავალ ცხოვრებაში ურო მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე იქნება და პირიქით-დოგმატი სულთა გადასახლების შესახებ.)

84.ბუდიზმის სამართლებრივი იდეოლოგია - 3 ქ.

ბუდიზმი ძველინდური სამართლებრივი იდეოლოგიის უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობაა. მისი ფუძემდებელია სიდჰარტი(შემდგომში ბუდა). ბუდა და მისი მიმდევრები აღიარებდნენ ყველა ადამიანის ზნეობრივ და სულიერ თანასწორობას, აკრიტიკებდნენ ვარნების სისტემას, მათ უთანასწორობას. ბრაჰმანი ბუდისტებისთვის არის ყოველი ადამიანი< რომელმაც თავისი წოდებრივი კუთვნილების მიუხედავად სრულყოფას მიაღწია საკუთარი ძალისხმევით. ცნობილ პუდისტურ კანონში :დხამაპადა“ ნათქვამია, რომ ბრაჰმანად არ ითვლება ადამიანი მხოლოდ მისი წარმოშობისა დ ადედის გამო.

ბუდისტური ინტერპრეტაციით, დხარმა წარმოგვიდგება, როგორც ბუნებითი კანონი, ბუნებრივიკანონონზომიერება. გონივრული ქცევისათვის აუცილებელია ამ კანონის შეცნობა და გამოყენება. ადრეული ბუდიზმის მთელი იდეოლოგია გამსჭვალულია ჰუმანიზმით, სხვა ადამიანებთან კეთილი დამოკიდებულებით. დაუშვებელია ბოროტებისადმი ბოროტებითა და ძალადობით დაპირისპირება. „დხამაპადაში“ გამოვლინდა ბუდიზმისათვის დამახასიათებელი სასჯელის მასშტაბებისა და როლის შეზღუდვის ტენდენცია. დაუშვებელია ბრალის არარსებობისას სასჯელის გამოყენება.

ბუდიზმისათვის დამახასიათებელია ერთგვარი უყურადღებობა რეალური პოლიტიკურ-სამარტლებრივი მოვლენებისადმი. ეს უკანასკნელი განიხილებოდა, როგორც მიწიერ უბედურებათა ჯაჭვის ნაწილი, ამიტომ ბუდისტური მოძღვრება დხარმის შესახებ უმთავრესად „შინაგანი“ გამოყენებისთვისაა გამიზნული.

85. სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი მოძღვრებები „ართახაშასტრას“ მიხედვით - 2 ქ.

ძველი ინდოეთის პოლიტიკური პრობლემები მოცემულია ტრაქტატში „ ართახაშასტრა“. ტრაქტატი შდგელინია კაუტილიას მიერ. ართახაშასტრა იძლევა რჩევებს და მითითებებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო მართვის საკითხებზე. იგი ემხრობა საზოგადეობის კასტებად დაყოფას, მონობის კანონზომიერებას. განმტკიცებულია ძლიერი მეფის ხელისფულების იდეა, იგი შიშს უნდა ჰგვრიდეს ყველას და უნდა იყოს შემოქმედი. თუ მეფე შემოქმედია მსახურებიც ასეთები არიან. მეფემ უნდა დაიცვას და შეასრულოს კანონები, მაგრამ თუ კანონები ცდებიან ან ეწინააღმდეგებიან ხელისფულებას, მაშინ საკითხი უნდა გადაწყდეს საერთო სარგებლიანობის თვალსაზრისით. ტრაქტატის მიხედვით, არეულობა უდიდესი უბედურებაა და ჰგავს გველის უშუალო მოახლოების დგომარეობას.

86. კონფუცის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე - 3 ქ.

კონფუცი ავითარებდა სახელმწიფოს პატრიარქალურ თეორიას, იგი სახელმწიფოს განმარტავს,როგორც დიდ ოჯახს, იმპერატორის ხელისფულება და მამის ხელსიფულება ერთმანეთს ჰგავს, ხოლო ქვეშემრდომების ურთიერთობა-საოჯახოს. უმცროსები ერმოჩილებიან უფროსებს. მმართველობის არისტოკრატიული ფორმის მომხრეა, ხალხი ჩამოცილებულია სახელმწიფოს მართვას.

საზოგადოება მისი შეხედულების მიხედვით იყოფა კეთილშობილებად და მდაბიოებად. კეთილშობილებმა უნდა მართონ, ხოლო მდაბიოები ემსახურონ მათ. კეთილშობილებმა უნდა დაამყარონ სამაგალითო წესრიგი, ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა სიკეთისა და ბროოტების შესახებ.

მმართველობის არაძალისმიერი მეთოდების მომხრეა, მოუწოდებდა მმართველებს ემართათ სათნოების საწყისებზე დაყრდნობით. ქვეშემრდომტა ძირითადი სათნოება მდგომარეობს მმართველებისადმი(„უფროსებისადმი“) მორჩილებაში. მისი პოლიტიკური

ეთიკა მიმართულია საზოგადეობის ზედა და ქვედა ფენეს შორის მშვიდობის დამყარებისკენ. ქონებრივი უთანასწორობის დაძლევა მისთვის მნიშვნელოვანია. ნებისმიერი სახის საგარეო ომს აფასებს უარყოფითად.

იგი სათნოების ნორმების საშუალებით მმართველობის მომხრეა და უპირისპირდება კანონების საფუძველზე მმართველობას. კანონი აიძულებს ხალხს, რომ ეშინოდეთ სასჯელის და თავი აარიდონ გაექნენ მას, არ რჩებათ სირცხვილის გრძნობა. თუ ხალხის ხელმძღვანელობა განხორციელდება სატნოების ნორმებით, ხოლო წესრიგის დაცვა რიტუალებით, ხალხს გაუჩნდება სირცხვილის გრძნობა და გამოსწორდება. იგი არ უარყოფთა კანონმდებლობის მნიშვნელობას, თუმცა მას მხოლოდ დამხმარე როლს ანიჭებდა.

87. ჩინელი ლეგისტების შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე(შან იანი) – 3ქ.

ლეგიზმი კონფუციანელობის საწინააღმდეგო პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეოლოგიაა. მისი წარმომადგენელია შან იანი(გენსუნ იანი). შან იანი ასაბუთებდა კანონებსა და სასტიკ სასჯელებზე დაფუძნებული მმართველობის აუცილებლობას. ლეგისტების შეხედულებები კანონებისა და სასჯელების სისასტიკეზე განპირობებულია მათი წარმოდგენებით მოსახლეობისა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის მიმართებაზე. ამ ურთიერთობას ანტაგონისტური ხასიათი აქვს, როცა ხალხი ძლიერია ხელისუფლებაზე სახელმწიფო სუსტია, ხოლო როცა პირიქით ხდება, არმია უძლეველია.

შან იანისთვის სრულიად მიუღებელია ქვეშემრდომებისთვის რაიმე უფლებების მინიჭება, უარყოფს კანონის ყველასთვის სავალდებულოობას, იგი წერს:“ბრძენი ქმნის კანონებს, ხოლო სულელი შეზღუდულია ამით.“

მმართველობის საკითხში იგი მნიშვნელობას ანიჭებდა ცხოვრებაში კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპის დანერგვას, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ოჯახები ჩინეთში იყოფოდა ხუთეულებად და ათეულებად, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ წრიული თავდებობით.

88. დაოსიზმის სამართლებრივი იდეოლოგია - 2 ქ.

დაოსიზმის ფუძემდებლად ითვლება ლაო-ძი, მის თანახმად, დაო არის ცის მეუფეობისაგან დამოუკიდებელი საგანთა ბუნებითი მსვლელობა, ბუნებრივი კანონზომიერება. დაო არის ცის, ბუნების და საზოგადოების კანონების განმსაზღვრელი. დაოს მიმართ ყველა თანასწორია, იგი განასახიერებს სათნოებას და ბუნებით სამართლიანობას.

დაოსიზმში მნიშვნელოვანია უმოქმედობის პრინციპი-აქტიური მოქმედებისაგან თავის შეკავება. ლაო-ძის თანახმად ხალხის უმძიმესი მდგომარეობის მიზეზი არის ჭეშმარიტი დაოსაგან გადახვევა. ლაო-ძი გმობდა ყოველგვარ ძალადობასა და ომებს, იგი მეფეებს მოუწოდებდა თავი შეეკავებინათ სხვა ქვეყნების დაპრყობისაგან, რადგანაც, იქ სადაც ჯარი იყო მხოლოდ სარეველებიღა იზრდებოდა,იგი ამბობს, რომ დიდი ომები ყველაფერთან ერთად შიმშილს იწვევს. ლაო ძის თანახმად ხალხის ჩაგვრა ისევე არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, როგორც ძლიერი წვიმა, ან ქარი.

89. პითაგორას შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე - 2 ქ.

პითაგორას აზრით, ადამიანს ესაჭიროება პატრონი, ამიტომ იგი უნდა ემორჩილებოდეს წესრიგს. საზოგადეობისათვის, მისი აზრით, ყველაზე დიდი ბოროტება უბატონობაა. ადამიანთა ერთ ჯგუფს უნდა ემორჩილებოდეს დანარჩენი საზოგადოება, ისინი უნდა სცემდნენ პატივს კანონებს, მშობლებსა და მმართველებს.პითაგორას აზრით მმართველები განსაკუთრებული ფიზიკური და გონივრული თვისებების მატარებელი ადამიანები არიან. პითაგორელები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ აღზრდას, მათ პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენს ისეთი სახელმიწფო, რომელსაც მართავენ ფილოსოფოსები, სულიერად და ინტელექტუალურად მაღალგანვითარებული ადამიანები.

90. ჰერაკლიტეს შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე -3ქ.

ჰერაკლიტეს აზრით სოციალურ-პოლიტიკური უთანასწორობა სავსებით მისაღებია და იგი არის შედეგეი სამართლიანი და მართლზომიერი ბრძოლისა. მისი აზრით, ბრძოლა არის ყველაფრის მბრძანებელი, ერთნი

მან ღმერთებად შემქნა და არგუნა მეუფება, მეორენი-ადამიანებად, რომელბსაც მონობა ხვდათ წილათ.

ჰერაკლიტეს აზრით პოლისის ცხოვრება და მისი კანონები უნდა შეესაბამებოდეს ლოგოსს(ჰერაკლიტეს მიხედვით სამყაროს გონიერი საწყისი), ხალხი კი ისე უნდა იბრძოდეს კანონებისათვის, როგორც საკუთარი ქალაქის კედლებისათვის.

ჰერაკლიტე აკრიტიკებს დემოკრატიას, სადაც მართავს ბრბო და უკეთესებს ადგილი არ აქვთ. იგი ერთის მმართველობას არჩევს ათასისას, თუ ეს ერთი საუკეტესოა. ჰერაკლიტეს აზრით კანონის მიღება არ არის აუცილებელი სახალხო კრებაზე, კანონისთვის მთავარია ის, რომ შეესაბამებოდეს საყოველთაო ლოგოსს, რომლის შეცნობა, თუ ის ერთი საუკეთესოა უფრო ხელმისწავდომია, ვიდრე მრავლისათვის.

91. დემოკრიტეს შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე - 3ქ.

დემოკრიტე გვთავაზობს სახელმწიფოს შემქნის თეორიას. მისი მტკიცებით, თავდაპირველად ადამიანები ცხოვრობდნენ ჯოგებად, არ გააჩნდათ ბინა, ტანსაცმელი და საჭმლის მარაგი. არ ჰყავდათ მეფეები და მმართველები, შესაბამისად არ ჰქონდა ადგილი ჩაგვრას. შემდგომში, ადამიანებმა ისწავლეს ცეცხლის გამოყენება, მიწათმოქმედება, დაიწყეს ხელოვნების შემქნა-განვითარება და შემოიღეს სახელმწიფო წესრიგი. მისი აზრით, ადამიანებმა ბევრი ისწავლეს ცხოველებისაგან, მაგ.:ობობისაგან ისწავლეს ქსოვა, მერცხლისაგან შენება, ხოლო ბულბულისა და გედისაგან სიმღერა.

დემოკრიტე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის ზომიერ ქცევას საზოგადეობაში. იგი ამბობს, რომ ადამიანი არ უნდა ესწრაფვოდეს სიამოვნებასა და განცხრომას. ბედნიერება დამოკიდებულია არა სიმდიდრეზე, არამედ ადამიანის სულიერ განწყობაზე. ამიტომ ბედნიერი ღარიბიც შეიძლება იყოს. იგი მოუწოდებს ღარიბებს, რომ არ დახარბდნენ სიმდიდრეს და არ შეშურდეთ მდიდრების, მეორეს მხრივ მდიდრების

ანგარებიანობასა და სიხარბეს აკრიტიკებს. დემოკრიტე არ არის მონობის წინააღმდეგი და მას საზოგადეობის შეკავშირების ფრომად თვლის.

დემოკრიტეს აზრით, სახელმწიფო არის უდიდესი დასაყრდენი. როცა სახელმწიფო იღუპება მას ყველაფერი თან მიჰყვება. იგი ყურადღებას ამახვილებს კანონებსა და კანონიერებაზე, კანონების ჩამოყალიბების მიზეზად ადამიანთა შორის ჩამოვარდნილ მტრობას თვლის. მისი აზრით, კანონი ზედმეტი იქნებოდა ადამიანები შურიანნი და ბოროტნი რომ არ ყოფილიყვნენ. თუ ადამიანები მტრობის გარეშე იცხოვრებენ, კანონების არსებობა მათ ხელს არ შეუშლით.

იგი მომხრეა დემოკრატიისა, იცავდა ზომიერ, ცენზიან დემოკრატიას.

92. პროტაგორას შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე - 3ქ.

პროტაგორა სოფისტების წარმომადგენელი იყო. მას ეკუთვნის მრავალი ნაშრომი: „სახელმწიფოს შესახებ“, „ბრძოლის შესახებ“,“ღმერთების შესახებ „და სხვა.

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხში, პითაგორა არ იზიარებს მითს იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს წარმოშობამდე ოქროს ხანა არსებობდა. სახელმწიფოს წარმოშობამდე, მისი აზრით, ღმერთმა ადამიანებს პოლიტიკური ხელოვნება ასწავლა. იგი თვლის, რომ ყველა ადამიანი თანაბრად უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფოს მართვის საქმეში. იმის მიზეზად, თუ რატომ აქვთ სხხვადსხვა ხალხებს განსხვავებული სამართლის ნორმები, პროტაგორა სამართლიანობასა და უსამართლობაზე მათ განსხვავებულ წარმოდგენებს ასახელებს.

იგი ერთმანეთს ადარებს სამართლის ნორმებსა და ბუნების კანონებს. ადამიანთა ბუნებით მდგომარეობს კი სამოქალაქო მდგომარეობას ამჯობინებს და მიუთითებს, რომ ბუნებითი მდგომარეობის დროს წარმოებდა ომები, ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძოდა. იგი მოუწოდებს არსებული კანონების დაცვისაკენ.

93. გორგიუსისა და პიპიუსის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე - 2ქ.

გორგიუსი და ჰიპიუსი მიუთითებდნენ, რომ კანონი არის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი აქტი. ჰიპიუსი ერთმანეთს უპირისპირებს ბუნებით სამართლიანობასა და კანონით სამართლიანობას. მისი აზრით, კანონი არის ტირანი ადამიანებისათვის და მისი მოთხოვნა არ შეესაბამება ადამიანის ბუნებას.

94. სოკრატეს დამოკიდებულება არისტოკრატიისა და ათენის დემოკრატიისადმი- 2ქ.

სოკრატე აკრიტიკებდა ათენის დემოკრატიას, მისთვის იდეალი არისტოკრატიული მმართველობაა, იმიტომ, რომ ამ დროს სახელმწიფოს განაგებენ მცირე რაოდენობის, მაგრამ მცოდნე და მომზადებული ადამიანები. ამართლებს უმცირესობის ბატონობას და ამბობს , რომ ბატონობა ეს არის „სამეფო ხელოვნება“. სამეფო ხელისუფლებაში, მისი აზრით მხოლოდ განათლებული და სათანადო მონაცემების მქონე ადამიანები დაიშვებიან. მეფეები და გამგებლები, ისინი კი არ უნდა იყვნნენ ვინც სკიპტრას ატარებენ, არამედ ისინი ვისაც მართვა შეუძლიათ. სწორედ ამიტომ, იგი აკრიტიკებდა ათენის დემოკრატიულ რესსპუბლიკაში თანამდებობზე კენჭისყრით არჩევის წესს. ასევე აკრიტიკებდა სახალხო კრებას, რომელიც ძირითდად ხელოსნებისა და ვაჭრებისაგან შედგებოდა. სოკრატეს აზრით, ეს ის ხალხია, რომელიცფიქრობს რაიმეს ყიდვას იაფად და ძვირად გაყიდვას, ამ ხალხს არასდროს უფიქრია სახელმწიფოს მართვაზე.

95. სოკრატეს სამართლებრივი შეხედულებანი - 3ქ.

სოკრატე გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებებს სამართლის შესახებ. მისი აზრით არსებობენ დაუწერელი ანუ ღვთაბერივი კანონები, რომლებსაც ყოვლისშემძლე ძალა აქვთ და რომლების წარმოადგენენ ადამიანური კანონების საფუძველს. იგი ასახელებს დაუწერელ კანონებს:ღმერთებისადმი მორჩილება, მშობლების პატივისცემა,

დაწერილი კანონებისადმი მორჩილება და ა.შ. სოკრატეს აზრით სამართლიანი და კანონიერი ერთი და იგივეა.

მიუხედავად იმისა, რომ დაუწერელ კანონებს პრიმატს ანიჭებს, პატივს სცემს დაწერილ კანონებსა და მათ დაცვას სავალდებულოდ თვლის. მისი აზრით, ეს კანონები იცავს საზოგადეობას თვითნებობისაგან.

პლატონის გადმოცემით, სოკრატეს სიკვდილით დასჯამდე ორი დღით ადრე , მისმა მეგობარმა კრიტონმა მოახერხა საკანში შეღწევა და შესთავაზა ციხიდან გაქცევა, მაგრამ სოკრატემ უარი განაცხადა, იმ მოტივით, რომ თითოუელმა ადამიანმა უსიტყვოდ უნდა დაიცვას და შეასრულოს კანონები, მისი სიტყვებით, კანონები დარღვევა, რომლებიც სახელმწიფო ს საერთო საქმეს ემსახურებიან, გამოიწვევს მთელი საზოგადეობის დაღუპვას. არ შეიძლება არსებობდეს საზოგადეობა და მასში სასამართლო გადაწყვეტილებებს არ ჰქონდეთ არავითარი ძალა. იგი იყო დემოკრატიის მოწინააღმდეგე, მაგრამ იცავდა ათენის დემოკრატიის კანონებს.

96. პლატონის იდეალური სახელმწიფოს მოდელი გადმოცემული დიალოგში „სახელმწიფო“ – 3ქ.

პლატონის იდელაურ სახელმწიფოში თავისუფალი მოსახლეობა დაყოფილია სამ წოდებად:

1. ფილოსოფოსები ანუ სახელმწიფოს გამგებლები
2. მეომრები ანუ სახელმწიფოს დამცველები
3. ხელოსნები და მიწათმოქმედნი, რომლებიც ქმნიან მატერიალურ დოვლათს.

პლატონი იმის დასასაბუთებლად, რომ საზოგადეობის წოდებებად დ გამართლებულია, ამტიკცებს, რომ უთანასწორობა და წოდებებად დაყოფა არის თანდაყოლილი, ობიექტური მოვლენები. ფილოსოფოსები და მეომრები განსაკტრებული რანგის ადამიანები არიან, შესაბამისად, სახელმწიფოს მართვისა და სამხედრო საქმის გარდა მათ არანაირი მოვალეობა არ გააჩნიათ. რაც შეეხება მესამე წოდებას, მათ არ გააჩნიათ

განსაკუთრებული პრივილეგიები, თუმცა იდეალური სახელმწიფოს მოქალაქეთა რიცხვს მიეკუთვნებიან.

ფილოსოფოსებსა და მეომრებს იდეალურ სახელმწიფოში თანაზიარი საკუთრება გააჩნიათ. მეომრები ყველაფერს იღებენ საზოგადეობისაგან. მატ არ აქვთ უფლება ჰყყავდეთ ოჯახი, უნდდა ცხოვრობდნენ ერთად და ჰყავდეთ საერთო ცოლები.პირველი ორი წოდებისთვის ოჯახი, ჩვეულებრივი გაგებით არ არსებობს, ხოლო ქალები გათანაბრებულნი არიან მამაკაცებთან. პლატონს უმნიშვნელოვანესად მიაჩნია ბავშვების აღზრდა სახელმწიფოში, ამიტომ ამბობს, რომ იდეალურ სახელმწიფოში ბავშვები სპეციალური პროგრამით იზრდებიან, ამას ხელმძღვანელობენ სპეციალური თანამდებობის პირები. გოგოები და ბიჭებს თანაბარ პირობებში იღებენ განათლებას.

იგი ეხება ასევე სახელმწიფო ფორმის საკითხსაც, მისთვის იდეალური სახელმწიფო ფორმაა არისტოკრატია, რომელშიც ბატობობენ საუკეთესოები, ბრძენი ადამიანები, ფილოსოფოსები. არისტოკრატიის შემდეგ ასახელებს ტიმოკრატიას-აქ ბატონობენ უძლიერესნი და უმამაცესნი. ტიმოკრაატიის შემდეგ მოდის ოლიგარქია, რომელშიც ხელისუფლებას ახორციელებენ მდიდრები. შემდგომში განიხილავს, იმ ფორმას სადაც ხალხი განაგებას, ანუ დემოკრატიას. მმართველობის ყველაზე უარესი ფორმა, არის ტირანია.

97. პლატონის იდეალური სახელმწიფოს პროექტი გადმოცემული დიალოგში „კანონები“- 3ქ.

აღნიშნულ პროექტში ბევრი რამ არის განმეორებული „სახელმწიფოდან“. პლატონი კვლავ მომხრეა მამაკაცისა და ქალის უფლებრივი თანასწორობისა, ახალგაზროდბის სახელმწიფოს მიერ აღზრდისა. ამ პროექტშიც მოითხოვს, რომ მმართველობის ფორმა უნდა იყსო არისტოკრატია.არისტოკრატიული წყობილების დაცვის იდეით, გამართლებულია უთანასწორობა.

ამ სახელმწიფოში უარყოფილია კოლექტირუი საკუთრება და პლატონი ქადაგებს კერძო საკუთრების უფლებას, თუმცა დიდი შეზღუდვებით. პლატონის აზრით, მიწა ეკუთვნის სახელმწიფოს და იგი ნაკვეთებად იყოფა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ნაკვეთები

გადადის მემკვიდრეობით. დაწესებულია პოპულაციის რეგლამენტაცია(იმისთვის რომ მოსახლეობა ძალიან არ გაიზარდოს)

საცხოვრებელი შენობები სახელმწიფო საკტრებაშია და ნაწილდება მოსახლეობაში.

მოსახლეობა ოთხ ნაწილადაა დაყოფილი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. პოლიტიკური უფლებების მინიჭებისას პირად მონაცემებთან ერთად ყურადღება ექცევა ქონებრივი ცენზით კუთვნილებას. სიმდიდრისა და სიღარიბეს შორის უფსკრულის ამოსავსებად, ქონების შეძენის გარკვეული ზღვარია დაწესებული, რომლის გადაჭარბების შემდეგ ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.

ფიზიკურად მშრომელები ამოირიცხებიან თავისუფალ მოქალაქეთა რიგებიდან. ხელოსნებს აქვთ თავისუფლება, მაგრამ არა მოქალაქეობა. მიწათმოქმედებას ახორციელებენ მონები.

იკრძალება ვაჭრობა მოქალაქეების მხრიდან, სახელმწიფო ვაჭრობა შეზღუდულია. მოქალაქეები ცხოვრობენ მონათა და ხელოსანთა ხარჯზე.

სახელმწიფო მმართველობის ფორმა კვლავ არისტოკრატიაა, თუმცა მოქმედებს სახალხო კრება, რომელშიც მონაწიელობს ყველა მოქალაქე.არჩევითი ორგანოა 360 კაცისაგან შემდგარი საბჭო. პირველი ორი თანრიგის მოქალაქეები ჯარიმდებიან სახალხო კრებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ბოლო ორი-არა.

სახელმწიფოს სათავეში დგანან უხუცესები, რომლებიც კანონებზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებებს. კანონმდებლობა იცავს არსებულ წესწყობილებას, მცირედი ცვლილებაც კი არსებული წესწყობილების შეცვლის მიზნით სიკვდილით ისჯება. სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობი ს პირთა კოლეგიას შეადგენს 37 მმართველი-კანონთა მცველები.

რელიგიის წესების დაცვა სავალდებულოა, არდაცვა ისჯება.

98. არისტოტელეს დამოკიდებულება მონობის მიმართ- 2ქ.

არისტოტელე ასაბუთებს და ამართლებს მონობას. იგი მიუთითებს მონობის სამართლიანობაზე, იგი თვლიდა, რომ ზოგიერთი ადამიანი მოწოდებულია იყოს მონა, ასეთებად კი ბარბაროსებს ასახელებს, მისი აზრით ბერძნები არასოდეს არ უნდა იყვნნენ მონები, რადგან ისინი

განსხვავებული თვისებებით არიან დაჯილდოებულნი. მონას უწოდებს უსულო საგანს, მოლაპარაკე იარაღს, რომელთანაც შეუძლებელია მეგობრობა ისევე როგორც ცხოველებთან. მონათმფლობელებს მოუწოდებს იყვნენ მონათა მიმართ ზომიერად მკაცრნი.

99.არისტოტელეს შეხედულებანი სამართალსა და სამართლიანობაზე - 2ქ.

არისტოტელეს აზრით სამართალი არის პოლიტიკური სამართლიანობა, ანუ სახელმწფიოში დამყარებული წესრიგი. სამართალი ემსახურება საერთო სარგებლიანობას და გამოიყენება მხოლოდ თანასწორუფლებიან ადამიანებს შორის, უთანასწოროთა შორის სამართლის გამოყენება შეუძლებელია.

იგი მიუთითებს, რომ არსებობბს დაუწერელი და დაწერილი სამართლი. დაწერილი სამართალი ადათობრივი სამართალია, ხოლო დაუწერელი სამართლის ქვეშ გულისხმობს ბუნებით სამართალს, რომელიც არსებობს მიუხედავად იმისა, იცნობენ თუ არა მას სახელმწიფოები და რომელიც დაწერილი სამართლის საფუძველია.

არისტოტელე ერთმანეთთან აახლოებს სამართლიანობასა და სამართალს, მისი აზრით, სამართლიანია ყველაფერი ის, რაც შეესაბამება კანონს, ხოლო უსამართლოა ის-რაც არღვევს მას.ორი სახის სამართლიანობას განასხვავებს:

1. განტოლებითი(გათანრებითი) სამართლიანობა- მისი ამოცანაა ყველაფერი იმის ყველაფერ იმის გათანასწორება რაც ეკონომიკურ სფეროში მოქალაქეებს ეკუთვნით
2. განაწილებითი სამართლიანობა-სიკეთის განაწილება მოქალაქეთა ღირსების, მათი თავისებურებების მიხედვით

100.პოლიბიოსის შეხედულებანი სახელმწიფოს შესახებ- 3ქ.

პოლიბიოსი იკვლევს საზოგადეობის განვითარებას და ამტკიცებს, რომ საზოგადეობა ვითარდება ციკლურად, აღწევს განვითარების გარკვეულ წერტტილს და უბრუდნება საწყის მდგომარეობას. ამის მსგავსად ახელმწიფოც გადის აღმოცენება-განვითარების , აყვავებისა და დაცემის ეტაპებს. ამ გადასვლებს თან ახლავს სახელმწიფო ფორმათა ცვალებადობა. სახელმწიფო ფორმები ასე იცვლებიან:

1. პირველი ყალიბდება მონარქია
2. მონარქიას ცვლის ტირანია, რომელსაც ახასიათებს ძალადობა
3. ტირანიას ცვლის არისტოკრატია-იგი სახელმწიფოს აყვავების მაჩვენებელია
4. ოლიგარქია ყალიბდება არისტოკრატიის შემდეგ, ამას იწვევს ადამიანთა ზნეობის დაქვეითება,ოლიგარქიაში სახელმწიფოს ერთი მუჭა მდიდრები განაგებენ
5. დემოკრატია ცვლის ოლიგარქიას-დემოკრატია სახელმწიფოს რღვევის მაჩვენებელია, იმიტომ, რომ ხალხის ფართო მასების მმართველობა, სხვის ხარჯზე ცხოვრების მიჩვევის შემდეგ წყდება და ხალხი ირჩევს ბელადს, დემაგოგს,პატივმოყვარე ადამიანს.
6. ოხლოკრატია მოსდევს დემოკრატიას.

პოლიბიუსი ასევე გამოთქვამს სახელმწიფოს შერეული მმართველობის ფორმის შესახებ მოსაზრებას და ასეთად მონარქიის, არისტოკრატიისა და დემოკრატიის ნაზავს ასახელებს.

101. ციცერონის შეხედულებანი სახელმწიფოზე - 2ქ.

ციცერონი სახელმწიფოს განმარტავს , როგორც ხალხის საქმეს, თუმცა ხალხად მას მიაჩნია ადამიანთა არა ყოველგვარი გაერთიანება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც დაფუძნებულია სამართალსა და საერთო სარგებლიანობაზე. ციცერონის აზრით სახელწმიფო დაფუძნებულია სამართლიანობაზე და არა ძალმომრეობაზე. იგი ამბობს, რომ თუ ხელისუფლება ეფუძნება თვითნებობასა და ძალადობას, სახელმწიფო ვერ იარსებებს. არ ეთანხმება სახელმწფიოს წარმოშობის საკითხში ხელშეკრულების თეორიას, იზიარებს რა არისტოტელეს შეხედულებას, ამტკიცებს, რომ სახელმწიფო წარმოიშვა ადამიანების ერთად ცხოვრებისა და ურთიერთობის ჩვევის მიზეზით. მისი აზრით, ყველა სახელწმიფო უნდა იცავდეს მოქალაქეთა ქონებრივ ინტერესებს, სახელმწიფო ხელისუფლების უპირველესი დანიშუნლება სწორედ კერძო საკუთრების დაცვაა.

102. ციცერონის შეხედულებანი სამართალზე-2 ქ.

სამართლის საკითხში იგი ემხრობა სტოელებს და ფიქრობს, რომ პოზიტიური სამართალი ბუნებითი სამართლის შედეგია. სამართლის არსს იგი გონიერებაში ჭვრეტდა. ციცერონის აზრით, თუ სახელმწიფოში მოქმედი კანონები ეწინააღმდეგებიან სამართლიანობას მაშინ ისინი არ წარმოადგენენ კანონებს. იგი რომის პოზიტიურ სამართალს ბუნებითი სამართლის ნაწილად თვლის, თუმცა მასში ბევრი არასამართლიანი ნორმაცაა.

ციცერონი გამოთქვამს მოსაზრებებს საერთაშორისო სამართლის საკითხებზეც. განასხვავებს სამართლიან და უსამართლო ომებს. უსამართლოა ომი, რომელიც უმიზეზოდ და ომის გამოუცხადებლად წარმოებს. მან შემოიტანა ისეთი იურიდიული დებულებები, რომლებსაც არ იცნობდნენ ბერძენი ფილოსოფოსები.

103.სენეკას შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე - 3ქ.

სენეკა იცავდა ადამიანთა სულიერი თავისუფლების იდეას. მისი აზრით მონობის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანის სხეული და არა სული. ადამიანის საუკეთესო ნაწილი თავისუფალია მონობისაგან.

სენეკას მიხედვით მონა უთანასწორდება სხვა ადამიანებს, მას იგივე თვისებები გააჩნია. ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ მონის სხეულს ეხება. სენეკა არ უარყოფს მონობის ინსიტუტს, მაგრამ იცავს მონის ადამიანურ ღირსებებს და მის მიმართ ჰუმანურ დამოკიდებულებას ქადაგებს. ყველა ადამიანი თანასწორია იმ გაგებით, რომ ისინი ერთნაირად იმყოფებიან ბედისწერის გავლენის ქვეშ. იგი ამბობს, რომ ეს ადამიანები კაცნი არიან, სხვების ცხოვრების თანამოზიარენი და მათაც ისევე ათამაშებს ბედისწერა როგორც საზოგადეობის დანარჩენ წევრებს.

სენეკა ბედისწერას თვლიდა ყველაფრის მიზეზად. ადამიანებს არ ძალუძთ შეცვალონ ბედისწერა და ურთიერთობანი, მათ შეუძლიათ მხოლოდ ვაჟკაცურად აიტანონ ის, რასაც ბედისწერა მოუვლენთ. „ბედისწერის კანონს“ ემორჩილება ყველა ადამიანური დადგენილება, მათ შორის სახელმწიფო კანონები.

სენეკას თანახმად სამყარო არის ბუნებითი სახელლმწიფო ბუნებითი სამართლით. ამ სახელმწიფოს წევრია ყველა დამიანი მიუხედავად იმისა აღიარებს თუ არა იგი ამას. სსენეკა განასხვავებს ორ სახელმწიფოს:

პირველი-სახელმწიფო, რომელშიც ერთიანდებიან ღმერთები და ადამიანები, მისი საზღვრები იზომება მზის მოძრაობით და არ არის შემოსაზღვრული მიწის ამა თუ იმ კუთხით

მეორე- ის სახელმწიფოა, რომელიც ადამიანებს შემთხვევით მიეწერებათ. მაგალითად ათენი, კართაგენი, თუ სხვა. ეს სსახელმწიფო ყველა ადამიანს არ ეხება, არამედ მხოლოდ მათ არამედ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს.

არიან ისეტი ადამიანები, რომლებიც ერთდროულად ორივე სახელმწიფოს ემსახურებიან დიდსაც და მცირესაც, ზოგი მხოლოდ დიდს ემსახურება, ზოგი მხოლოდ-მცირეს.

104.სამართლის სამ ნაწილად დაყოფა, საჯარო და კერძო სამართალი რომაელი იურისტების მიხედვით - 2ქ.

რომაელმა იურისეტბმა მოგვცეს სამართლის დაყოფა სამ ნაწილად:

1. ბუნებითი სამართალი-ეს არის ის სამართალი, რომელიც ბუნებიდან გამომდინარეობს და აწესებს ადამიანებისა და ცხოველების ქცევის წესებს.
2. ხალხთა სამართალი-გამომდინარეობს ბუნებითი გონიდან, აქვს უნივერსალური ხასიათი. სავაჭრო ურთიერთობის ყველა მონაწილის მიერ გამოიყენებოდა თანაბრად.
3. ცივილური სამართალი-ეს არის პოზიტიური სამართალი, რომელიც დადგენილი იყო მხოლოდ რომაელი მოქალაქეებისათვის და არეგულირებდა მათ მრავალმხრივ ურთიერთობებს.
   რაც შეეხება კერძო და საჯარო სამართალს, საჯარო სამართლად რომაელი იურისტები(კერძოდ ულპიანე) მიიჩნევდნენ ყველაფერ იმას რაც ეხებოდა სახელმწიფო ინტერესებს, ხოლო კერძო სამართალი არეგულირებდა კერძო პირთა ურთიერთობებს.

105.საბინუსიანელთა და პროკულუსიანელთა შორის განსხვავება საკუთრების ინსტიტუტთან მიმართებაში - 2ქ.

საბინუსიანელები პრინციპატის მომხრეები არიან, ხოლო პროკულუსიანელები რესპუბლიკისა. მათ შორის აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი ასევე შრომის საკითხზეც. საბინუსიანელთა აზრით, განმსაზღვრელი არის საკუთრება და არა შრომა, მაშინ როდესაც პროკულუსიანელები შრომას ანიჭებენ უპირატესობას.

106.ავგუსტინეს შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე - 3ქ.

ავგუსტინე ქადაგებას აუცილებელ მორჩილებას ეკლესიისადმი. მისი აზრით, ადამიანი თავისუფალია, მაგრამ ეს თავისუფლება გამოიხატება მხოლოდ მისწრაფებაში ჩაიდინოს ცოდვები. ცოდვებისაგან ხსნა, მისი აზრით შეიძლება მხოლოდ ღმერთის წყალობით, რომელსაც ღმერთი აძლევს არა ყველას, არამე მხოლოდ რჩეულთ, შესაბამისად საზოგადოება იყოფა ორ ნაწილად, რჩეულებად და განწირულებად. მისი ეს შეხედულებები დაედო საფუძვლად ავგუსტინეს მოძღვრებას სახელმწიფოსა და სამართალზე.

ავგუსტინეს აზრით, სახელმწიფო არის ადამიანთა გაერთიანება, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადეობრივი კავშირით. იგი იცნობს მიწიერ და ღვთიურ ქალაქს, სახელწმიფოს. მისი აზრით, მიწიერი სახელმწიფო არის მხოლოდ ძალადობის გამოხატულება და არაფრით განსხვავდება ყაჩაღთა ბრბოასაგან. ხოლო ღვთიური სახელწმიფო არის ჭეშმარიტი სამართლიანობის გამტარებელი და დამცველი. იგი ასაბუთებს, რომ კაცობრიობის ისტორია ამ ორი სახელწმიფოს განვითარების ისტორიაა.

გამოთქვამს მოსაზრებებს მონობის შესახებაც, იგი თვლისმ რომ მონობა უსამართლობაა, თუმცა უნდა იარსებოს რადგან ღმერთისგან მოვლენილი ცოდვების საზღაურია. ავგუსტინე მოითხოვს, რომ სახელმწიფო ემსახურებოდეს ეკლესიას, დასაჯოს ერეტიკოსები და ეკლესიის წესების დამრღვევები.

საკითხები წყაროების მიხედვით:

1. თრაზიმაქეს შეხედულება სამართლიანობაზე- 4 ქ.

თრაზიმაქეს აზრით, სამართლიანობა სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც ხელსაყრელია ყველაზე ძლიერისათვის. ყველა სახელმწიფოში ძალა იმის ხელთაა , ვინც ხელისუფლების სათავეში დგას. ყოველი ხელისუფლება ცდილობს შემქნას თავისთვის ხელსაყრელი კანონები. დემოკრატია-დემოკრატიულ კანონებს ქმნის, ტირანია-ტირანიულს და ა.შ მას შემდეგ რაც გამოაქვეყნებენ კანონებს, ამბობენ, რომ ქვეშემრდომთათვის სამართლიანია ის, რაც ხელსაყრელია ხელისუფალთათვის და კანონის დამრღვევი დაისჯება ისე, როგორც კანონიერებისა და სამართლიანობის ხელმყოფი. სწორედ ამიტომ, ყველა სახელმწიფოში სამართლიანობა ერთი და იგივე რამაა, ის, რაც ხელსაყრელია ხელისუფლებისათვის. ხელისუფლება ძალაა, შესაბამისად, სამართლიანობა არის ის, რაც ხელსაყრელია ყველაზე ძლიერისათვის.

სოკრატე ედავება მას და ეუბნება, რომ საკანონმდებლო საქმიანობისას შესაძლებელია ზოგიერთი კანონი მართებულად იქნეს დადგენილი, ზოგიერთი კი პირიქით. მაშასადამე თავისუფლად შეიძლება ხელისუფლებამ ისეთი კანონი შემოიღოს, რაც მისთვისვეა საზიანო, ნუთუ ამ შემთხვევაშიც სამართლიანი იქნება იმის შესრულება რაც ხელისუფლებისთვისაც კი საზიანოა?

თრაზიმაქე სოკრატეს პასუხობს და ეუბნება, რომ არ შეიძლება ექიმი ეწოდოს იმას, ვინც ავადმყოფის მკრუნალობისას შეცდომას შეცდომაზე უშვებს, არც ისაა მოანგარიშე ვინც სწორად არ იცის ანგარიში. ისეთი გამოთქმები, როგორებიცაა „ექიმი ცდება“, „მოანგარიშე ცდება“, სხვა არაფერია, თუ არა სიტყვის მასალა. რეალურად კი, არც -ერთი მათგანი არ ცდება , თუკი მართლა ღირსია იმ სახელისა, რა სახელითაც იცნობენ. არც-ერთი ოსტატი არ ცდება თავის საქმეში. შეცდომას ცოდნის უკმარისობა ან არასაკმარისი ოსტატობა იწვევს. არც ბრძენი, არც ხელოსანი, არც ხელისუფალი არ შეცდება,თუ მართლა თავისი საქმის ოსტატია. მათ მსგავსად, ხელისუფალი, თუ ის მართლაც ნამდვილი ხელისუფალია,

შეცდომებს კი არ უშვებს, არამედ შეოუცდომლად ადგენს, რა არის მისთვის უმჯობესი, და ეს დადგენილება აუცილებლად უნდა შეასრულოს ყველამ, ვისაც მისი ქვეშემრდომი ჰქვია. ამრიგად, სამართლიანობა არის ის რაც ხელსაყრელია ყველაზე ძლიერისათვის.

2.სოკრატეს შეხედულებანი სამართლიანობასა და კანონებზე- 4ქ.

თავის აზრს სამართლიანობის შესახებ სოკრატე ქცევებშიც ამჟღავნებდა. პირად ცხოვრებაში ყოველივეს ადათ-წესებისა და სიკეთის შესაბამისად ასრულებდა, იყო კანონმორჩილი მოქალაქე. სახალხო კრების თავმჯდომარედ გახდომის შემდეგ, ხალხს ნება არ მისცა კანონის წინააღმდეგ ჩაეტარებინათ კენჭისყრა. მას ერჩივნა მომკვდარიყო როგორც კანონთა ერთგული, ვიდრე ეცოცხლა როგორც მათ დამრღვევს. სოკრატე, საკუთარი მაგალითის საფუძველზე ასაბუთებს, რომ უსამართლობათა განრიდება არის სამართლიანი საქმე, თვითონ სამართლიანად ცხოვრობდა და საქმით ამტკიცებდა იმას, რასაც ფიქრობდა. სოკრატეს თანახმად, უსამართლობის ჩადენის სურვილის ოქნლობა სამართლიანობის საკმარისი მაგალითია. იგი ამტკიცებდა, რომ ის, რაც კანონიერია ამავდროულად სამართლიანია. კანონიერად იქცევა ის ადამიანი, ვინც საზოგადოებაში დადგენილებათა შესაბამისად მოღვაწეობს, ხოლო ვინც მათ არღვევს უკანონოდ. ვინც სამართლიან საქმეს აკეთებს, სამართლიანია, ხოლო ვინც უსამართლოს, უსამართლოა. შესაბამისად, ვინც კანონიერად იქცევა სამართლიანია, ვინც უკანონოდ-უსამართლო.

სოკრატე ამტკიცებს, რომ ის მმართველები არიან საუკეთესონი, რომლებიც მოქალაქეებს ყველაზე უფრო მარჯვედ წააქეზებ კანონთა მორჩილებისაკენ. სახელმწიფო, სადაც მოქალაქეები კანონებს ემორჩილებიან ომში ურყევია, ხოლო მშვიდობიანობაში ბედნიერი. კანონი არის სახელმწიფოს ერთსულოვნების საფუძველი. სოკრატე ასახელებს დაუწერელ კანონებს, ამბობს რომ ეს კანონები ღმერთებმა დაუდგინეს ადამიანებს, ღმერთების კანონების მაგალთად ასახელებს მშობლების პატივისცემას, მშობლებისა და შვილების შეუღლების დაუშვებლობას. იგი ამბობს, რომ ღმერთების მიერ დაწესებული კანონებთა დამრღვევნი ყოველთვის ისეთ პასუხს აგებენ, რომლისგან თავის დაღწევა არავითარი

საშუალებით არ ძალუძს არც-ერთ სულიერს. ადამიანთა მიერ დადგენილი კანონების დამრღვევნი კი ხშირად არიდებენ და უსხლტებიან თავს სასჯელს. ერთმანეთთან შეუღლებული მსობლები და შვილები უდიდესი სასჯელით ისჯებიან, ცუდი შვილიერებით. ღმერთებისაგან წარმომდგარია ასევე ისიც, რომ კანონები მათ დამრღვევთა სასჯელს შეიცავენ, ეს კაცზე უზენაესი კანონმდებლის დამსახურებაა. შეუძლებელია სამართლიანობა ღმერთის გარდა სხვამ დააკანონოს, ამრიგად, ღმერთებსაც ნებავთ სამართლიანი და კანონიერი ერთი და იგივე იყოს.

3.სოკრატეს შეხედულებანი მმართველობის ფორმებზე - 3ქ.

სოკრატე მეფობასა და ტირანიას, ორივეს შესაძლებელ ხელისუფლებად თვლიდა, ამასთანავე ფიქრობდა, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსვხავდებიან. მეფობას, იგი განმარტვდა როგორც ხალხის ნებასა და კანონებზე დამყარებულ ძალაუფლებლად. ხალხის ნებისა და კანონების გარეშე არსებულ და გამგებლის სურვილზე დამყარებულ მმართველობას ტირანიად მოიხსენიებდა. არისტოკრატია, სოკრატეს მიხედვით, მმართველობის ის ფორმაა, სადაც გამგებლობა კანონთა აღსრულებისაგან შედგება. პლუტოკრატიაში კი მმართველობა ქონებრივ მდგომარეობას ეფუძნება. დემოკრატიის შემთხვევაში, კი სახელწმიფოს მართვაში ნებისმიერს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს.

წყაროში მეტი აღარ წერია და შეიძლება 94ე საკითხის მიმატება.

4.დემოკრატიის დახასიათება პლატონის მიხედვით- 4ქ.

პლატონის თანახმად, დემოკრატიული წყობილება მყარდება მაშინ, როცა ღარიბები ანადგურებენ მტრებს, დანარცენებთან ერთად კი ინაწილებენ სახელმწიფო თანამდებობებსა და სამოქალაქო უფლებებს, რასაც ძირითადად კენჭისყრა წყვეტს. დემოკრატიის დამყრება ამ ფორმით ხდება და არ აქვს მნიშვნელობა იარაღის ძალით ხდება ძალაუფლების ხელში ჩაგდება თუ დაშინებული მოწინააღმდეგენი თანდათან უკან იხევენ.

დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქე თავისუფალი ადამიანია, აკეთებს იმას, რაც სურს. ასეთ სახელმწიფოში სუფევს თავისუფლება და გულახდილობა. ყველა ისე წარმართავს თავის ცხოვრებას, როგორც მოუნდება. ერთი შეხედვით, ეს საუკეთესო სახელმწიფო წყობილებაა.

როგორც ჭრელი ფერებიტ მოჩითული ქსოვილი, ისე ნარინაირი ხასიათებით შემკული სახელმწიფო შეიძლება ყველაზე მშვენიერად ჩავთვალოთ. დემოკრატიაში ადვილია ისე მოაწყო სახელმწიფოს ცხოვრება, როგორც გინდა.

ვინაიდან დემოკრატიისათვის დამახასიათებელია თავისუფლება, შესაძლებელია ყველა შესაძლო წყობის ამორჩევა-აღმოჩენა.ვისაც დემოკრატიული წყობის დამყარება სურს, შეუძლია მიაშუროს ასეთ სახელმწიფოს. როგორც ბაზარში, ასევე აქაც შესაძლებელია იმ მმართველობის ფორმის ამორჩევა, რომელიც ადამიანს მოსწონს, არჩევანის შემდეგ კი თავისი სახელმწიფო დაარსოს. დემოკრატიულ სახელმწიფოში არ არის აუცილებელი მართავდე, იღებდე მმართველობაში მონაწილეობას შენი სრუვილის საწინააღმდეგოდ, თუნდაც შეგწევდეს მმართველობა. არც სხვების მორჩილებაა საჭირო, თუ არ გსურს. არც ომში მონაწილეობა და მშვიდობის დაცვა მოგეთხოვება. თუ კანონი გიკრძალავს მმარტველობაში მონაწილეობას ან ხალხის განსჯა-განკითხვას, ორივე შეგიძლია გააკეთო, თუკი მოგესურვება.

ან დემოუკრატიული სახელმწიფოს ლმობიერება რად ღირს?-შენიშნავს პლატონი. დემოკრატიულ სახელმწიფოში სიკვდილმისჯილნი კვლავაც სახელმწიფოში რჩებიან ისე, თითქოს არავის არაფერი ესაქმებოდეს და ვერც ვერავინ ამჩნევდნეს, რომ თავისუფლად დასეირნობენ ქუჩებში.

დემოკრატიული სახელმწიფო არად აგდებს შეხედულებას იმის შესახებ, რომ თუ ადამიანს ბუნება არ შეეწია ვერასდროს გახდება კეთილშობილი, ან თუ ბავშვობაში საერთოდ არ შეხებია მშვენიერებას. დემოკრატიული წყობილება კი არ უფიქრდება იმას, თუ საიდან მოსულ კაცს ანდობს სახელმწიფოს მართვას, საკმარისია კაცს ბრბო აღიარებდეს და პატივი არ მოაკლდება.

ამრიგად, დაასკვნის პლატონი, დემოკრატია მრავალფეროვანი და ანარქიული წყობილებაა, ერთმანეთს თავისებურად რომ უთანაბრებს ყველას-თანასწორსაც და არათანასწორსაც.

5.ტირანი და ტირანია პლატონის მიხედვით - 4ქ.

პლატონის სწავლების თანახმად, ტირანი თავდაპირველად ალერსით უღიმის ყველას, კერძო პირებსა და საზოგადეობას ვალების ჩამოწერასა და მიწის ნაკვეთების დარიგებას ჰპირდება, ცდილობს ყველას კეთილმოწყალედ და თვინიერად მოაჩვენოს თავი. მტერთაგან ზოგს დაუზავდება, ზოგს გაანადგურებს, შესაბამისად მის კეთილდღეობას საფრთხე აღარ შეექმნება.

მისი პირველი საზრუნავია, ჩაითრიოს ომში ხალხი, იმისთვის რომ მათ გამუდმებით იგრძნონ ბელადის აუცილებლობა. თუ თავისუფლად და თამამად მოაზროვნეები არ დაემორჩილებიან ტირანს, მათ ომში მტრის მხარეს გადასვლას დასწამებს და დახოცავს. ამიტომაც არის, რომ იგი იძლებულია ომის მუდმივი საფრხით აშინებდეს ხალხს. ამასობაში, ისინი ვინც იგი აღაზევეს, გააკრიტიკებენ მას ასეთი ქმედებებისათვის, როგორც ზურგს უკან ისე პირისპირ. ტირანი იძულებული იქნება მუსრი გაავლოს ყველას, ამიტომ მეგობრები კი არა მტრებიც აღარ შერჩება. ტირანი ფხიზლად უნდა აკვირდებოდეს ვინ არის მამაცი, ჭკვიანი, კეთილშობილი. მან ყველას მახე უნდა დაუგოს, სახელმწიფოს მთლიანად გაწმენდამდე. შესაბამისად დარჩება უკეთურთა ხროვაში და იძულებული გახდება ან სიცოცხლეს დაემშვიდობოს ან მათ გარემოცვაში იცხოვროს. რაც უფრო საძულველი გახდება მოქალაქეებისტვუს, მით უფრო საჭირო გახდება ერთგული მცველი. ასეთები კი თავისით მოვლენ თუ ტირანი ფულს არ დაიშურვებს. იგი მოქალაქეებს ჩამოართმევს მონებს და თავის მცველებად დაინიშნავს, საბოლოოდ, თაყვანისმცემლებად თანამზრახველნი ეყოლება, მეგობრებად კი-ახალი მოქალაქენი. პატიოსანი ხალისათვის ტირანი სიძულვილისა და ზიზღის აღმძვრელი იქნება.

6.სახელმწიფოს წარმოშობა არისტოტელეს „პოლიტიკის“ მიხედვით-4 ქ.

არისტოტელეს აზრით, ყოველი სახელმწიფო ერთგვარ კავშირს წარმოადენს, ყოველი კავშირი რაიმე სიკეთეს ისახავს მიზნად. ყველა მიისწრაფვის სიკეთისაკენ, უმთავრესი სიკეთისაკემ კი მიისწრაფვის

ყველაზე უკეთესი კავშირი, რომელიც მოიცავს ყოველივეს, ეს არის სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი კავშირი.

პირველად ყალიბდება ოჯახი, რომელიც ყოველდღიური ბუნებრივი ურთიერთობებისთვის კავშირს წარმოადგენს, ზოგი ოჯახს ერთად მცხოვრებთ უწოდებს, ზოგი კი ერთ მაგიდაზე მკვებავთ. რამდენიმე ოჯახსი გაერთიანებას, რომელიც მიზნად ისახავს ყოველდღიურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და მხოლოდ ერთი დღისთვის არ იქმნება, ოჯახი ეწოდება. პირველ ქალაქებს და ტომებს სათავეში მეფეები ჰყავთ, რომლებიც ქვეშემრდომები იყვნენ. ოჯახებსაც ოჯახის უფროსები მართავენ, ოჯახის წევრები კი ერთმანეთს ენათესავებიან.

რამდენიმე დასახლებამ შემქნა დასრულებული სახელმწიფო, რომლებსაც აქვთ სრული დამოუკიდებლობა. ამასთანავე ზოგი სახელმწიფოს მიზანი არსებობის შენარჩუნებაა,ზოგის კი ბედნიერი არსებობა. ეს ქალაქ-სახელმწიფოები წარმოადგენენ წინამორბედი კავშირების დასრულებას,მათი ბუნება ვლინდება მათივე განვითარების დასრულებაში. არისტოტელე ამბობს, რომ მიზანი და დასასრული არის საუკეთესო რამ, ხოლო სულ ყველაფერზე უპირატესი თავისუფლებაა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო არის ბუნებრივი მოვლენა, ხოლო ადამიანი პოლიტიკური არსებაა. ის ვინც სახელმწიფოს გარეთაა თავისი სურვილით და არა შემთხვევით ან ცუდი დამიანია ან ადამიანზე მაღლა მდგომი.

ადამიანი ყველა დანარჩენ ცოცხალ არსებასთან შედარებით უფრო პოლიტიკური არსებაა. მხოლოდ მას გააჩნია მეტყველების უნარი. სიტყვა ნათელყჰოფს სასარგებლოსა და საზიანოს, სამართლიანსა და უსამართლოს. განსხვავებით სხვა არსებებისაგან, ეს ადამიანისთვის არის დამახასიათებელი, მხოლოდ მას აქვს შეგრძნება სამართლიანისა დ აუსამართლოს, ბოროტისა და კეთილისა. სწორედ ეს წარმოადგენს ოჯახისა და სახელმწიფოს საფუძველს.

თავისთავად სახელმწიფო უფრო წინ დგას ვიდრე ადამიანი. თუ ადამიანებს არ ძალუძთ სახელმწიფოს გარეშე ცხოვრება, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ისეთივე დამოკიდებულება აქვთ მასთან როგორც ნაწილს

მთელთან. ხოლო ის ვისაც არ შეუძლია სახელწმიფოში ყოფნა, დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, ან მხეცია ან ღმერთი.

თითოეული ადამიანი ისწრაფვის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ, სახელმწიფო მათთვის დიდი სიკეთეა, იმიტომ, რომ ადამიანი , რომელმაც ასეთ სრულყოფას მიაღწია და ცოცხალ არსებათ შორის საუკეთესოა, კანონისა და სამართლის გარეშე ყველაზე მდაბალი არსებაა. ყველაზე დიდი საშნელება შეიარაღებული უსამართლობაა. რაც შეეხება სამართლიანობას, იგი სახელწმიფოებრივი მოვლენაა, იმიტომ, რომ სამართალი აწესრიგებს სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს და სამართლიანობის საზომია.

7.მმართველობის ფორმების დახასიათება, დემოკრატიისა და ოლიგარქიის შედარება არისტოტელეს „პოლიტიკის“ მიხედვით-4ქ.

სახელწმიფო და სახელმწიფოს მმართველობა ერთსა და იმავეს ნიშნავს, მაგრამ სახელმწიფოს მმართველობა არის უმაღლესი ძალა, იგი არის ან ერთის, ან უმცირესობის ან უმრავლესობის ხელში. უმცირესობა იქნება უმრავლესობა თუ ერთის მმართველობა, ის ზრუნავს საზოგადოების სარგებლობაზე , შესაბამისად ეს მმართველობის ფორმა, ყოფილა სწორი. თუმცა, სახელმწიფო , რომელიც ემსახურება ერთს, უმრავლესობის ან უმცირესობის სარგებლიანობას, წარმოაგდენს მმართველობის დამახინჯებას.

ბაზილეა არის ის მონარქიული სახელმწიფო, რომელიც მიზნად ისახავს მთელი საზოგადოების სარგებლობას, ამ დროს უმრავლესობა ზრუნავს საზოგადო სარგებლობაზე. არისტოკრატია არის უმცორესობის, მაგრამ ერთზე მეტის მმართველობა, მას მართავენ საუკეთესო ადამიანები, ისინი წარმართავენ სახელმწიფოსაც და მოქალაქეებსაც საუკეთესო მიზნებისაკენ. რაც შეეხება გადახრებს ამ სახელმწიფო ფორმებიდან, იგი ასე გამოიყურება:

მონარქიიდან წარმოიშობა ტირანია, არისტოკრატიიდან-ოლიგარქია, პოლიტეადან-დემოკრატია. ტირანია იგივე მონარქიაა, რომელიც

ემსახურება მხოლოდ ერთი მმართველოს სარგებლობას, ოლიგარქია ემსახურება მდიდრებს, დემოკრატია კი იცავს ღარიბთა ინტერესებს. მაგრამ საერთო სარგებლობაზე არც-ერთი ამ ფორმათაგან არ ზრუნავს.

ოლიგარქია, არის სახელმწიფო სადაც ძალაუფლება არის მცირერიცხოვანი მდიდრების ხელში, ხოლო დემოკრატია არის სახელმწიფო სადაც ძალაუფლება ეკუთვნის მრავალრიცხოვან ღარიბებს. მაგრამ რა უნდა ვუწოდოთ იმ სახელმწიფო მმართველობის ფორმებს სადაც ძალაუფლება ეკუთვნის მცირერიცხოვან ღარიბებს ან მრავალრიცხოვან მდიდრებს? ამაზე პასუხი ასეთია: სახელმწიფოს მართავს უმრავლესობა თუ უმცირესობა, ეს დემოკრატიისა და ოლიგაქრიის შემხთვევითი ნიშანია, რადგან ყველა სახელმწიფოში მდიდრები მცირერიცხოვანნი არიან და ღრიბები პირიქით. დემოკრატიისა და ოლიგარქიის განსხვავების მთავარი მიზეზი არის სიმდიდრე და სიღარიბე. იქ, სადაც სახელმწიფო იმართება სიმსდიდრის საფუძველზე, მმართველნი ბევრნი თუ ცოტანი იქნებიან, აღარ აქვს მნიშვნელობა, რადგან ეს წყობილება ოლიგარქიული წყობილება იქნება, სადაც სიღარიბის საფუძველზე ხორციელდება მმართველობა, იქ იქნება დემოკრატია. ერთგან მარტავს უმრავლესობა, ხოლო მეორეგან უმცირესობა, მდიდრები მცირერიცხოვანნი არიან, მაგრამ თავისუფლება ყველა მოქალაქეს აქვს, ამიტომაც ორივე მხარე იბრძვის მმართველობის სათავეში ჩადგომისათვის.

8.სახელმწიფოს განმარტება არისტოტელეს „პოლიტიკის“ მიხედვით - 3ქ.

სახელმწიფო არის გვარებისა და სოფლების კავშირი, შექმნილი სრულყოფილი და დამოუკიდებელი ცხოვრების მოპოვების მიზნით. ასეთი ცხოვრება კი,არის ბედნიერი და მშვენიერი ცხოვრება, სახელმწიფო არსებობს მშვენიერი ცხოვრებისათვის და არა ადამიანტა თანაცხოვრებისათვის. ამიტომაც ისინი, რომლებიც დიდად უწყობენ ხელს სახელმწიფოს გაერთიანებას, უფრო მეტად არიან ღირსნი იყვნენ სახელმწიფოს სათავეში, ვიდრე ისინი, რომლებიც არიან თავისუფალნი, ან კეთილშობილი წარმოშობისა, ან მდიდრები და სხვა უპირატესობით

მსარგებლენი, მაგრამ ისეთები, რომლებიც მათზე დაბლდა დგანან პოლიტიკური ან ზნეობრივი სათნოებით.

9.სახელმწიფოს სამი ნაწილი არისტოტელეს „პოლიტიკის“ მიხედვით- 3ქ.

ყოველ სახელმწიფოს აქვს სამი ნაწილი:ძალიან მდიდრები, ძალიან ღარიბები და მათ შორის მყოფნი. ვინაიდან ზომიერების მდგომარეობა საუკეთესოა, ამიტომ ქონებაშიც საუკეთესოა საშუალო ქონება. ასეთი თვალსაზრისი მოწოენბას იმსახურებს, თუმცა ძნელია დაეთანხმო ძალიან კარგს, ძალიან ძლიერს, ძალიან კეთილშობილს და ამათ საწინააღმდეგოდ ძალიან ღარიბს, ძალიან სუსტს, ძალიან დამცირებულს. პირველები თავხედები და უზნეონი ხდებიან, სჩადიან უსამართლობას თავხედობის გამო, ხოლო მეორენი წვრილმანი უზნეონი და ბოროტმოქმედები, რომელბიც ბოროტი თვისებების გავლენით არიან ასეთები.

არც ძალიან კეთილშობილნი და არც უკიდურესად დამცირებულნი, სახელმწიფო საქმიანობას არ ერიდებიან. სახელმწიფოსათვის კი ორივე ნიშანთვისება საზიანოა. ზედმეტად კეთილშობილნი, ფუფუნებაში ცხოვრებას არიან ჩვეულენი, სწორედ ამიტომ არ სურთ დაემორჩილონ არავის, ისინი ურჩობენ სასწავლებლებშიც კი, იმყოფებიან რა უპირატეს ყოფაში, აქვთ ძალაუფლება და ისე მართავენ, როგორც დესპიტები. ხოლო ძალიან ღარიბნი მუდამ დამცირებაში მყოფნი, უნიათონი არიან, როგორც ხელმძღვანელობის ისე ქვეშემრდომობის საქმეში, მათ მხოლოდ მონური მორჩილება იციან. ასე წარმოიშობა მონებისა და ბატონების სახელმწიფო, სადაც ერთნი შუირთ არიან აღვსილნი, მეორენი კი ზიზღით. ეს კი ეწინააღმდეგებამ ეგობრობასა და სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს. მტრებს ერთ გზაზე გავლაც კი არ სურთ.

10.მონარქია და მისი სახეები არისტოტელეს „პოლიტიკის“ მიხედვით - 4ქ.

საკითხავია არის თუ არა მონარქია, სასარგებლო ყველა სახელმწიფოსა და ქვეყნისათვის ? იგი გამოსადეგია, იმათთვის, ვისაც სურთ კარგად ცხოვრება, თუ ამისთვის სხვა მმართველობსი ფორმა უკეთესია?

არსებობს სახელწმიფო ხელისუფლების მრავალი ფორმა. როდესაც მონარქი ტოვებს სახელმწიფო ხელისუფლებას, იგი ხდება სამხედრო ძალების მთავარსარდალი, ასევე მას აქვს უფლება უხელმძღვანელოს რელიგიურ საქმეებს. შესაბამისად, ეს სამეფო ხელისფულება არის სამხედრო საქმის განუსაზღვრელი ხელმძღვანელობის უფლების მქონე. მონარქს არ აქვს სიკვდილით დასჯის უფლება, გამონაკლისი შემთხვევების გარდა. ზემოთ ააღნიშნული არის სამეფო ხელისუფლების ერთ-ერთი სახე-სამხედრო სამსახური მთელი ცხოვრების მანძილზე.

არსებობს მონარქიის სხვა სახეებიც, ზოგან მონარქს ტირანის ძალაუფლება აქვს(ბარბაროსულ ტომებში). ზოგი მათგანი მემკვიდრეობით მეფობს, ხოლო ზოგი კანონით არის დანიშნული. ბარბაროსული ტომები მონური ბუნებისანი არიან, ამიტომ ითმენენ დესპოტურ მმართველობას ყოველგვარი უკმაყოფილების გარეშე. აქ მმართველობა მყარია, იმიტომ რომ მემკვიდრეობითია და ემყარება კანონს. მეფეს ყავს სამეფო ხასიათის დაცვა, განსვხვავებით ტირანისაგან, მას იცავენ შეიარაღებული მოქალაქეები და არა გარეშე ძალები. მეფეები მართავენ სახელმწიფოს კანონითა და ქვეშემრდომტა ნება-სურვილით, ტირანები კი იძულებით. ტირანი თავს იცავს მოქალაქეებისაგან, მეფეები კი იცავენ მოქალაქეებს.

არსებობს მონარქიის სხვა სახეც , ის, რომელიც ძველ ბერძნებს ჰქონდათ და „ესიმნეტა“ ეწოდებოდა, ეს იყო არჩეული ტირანი, რომელიც განსხვავდებოდა ბარბაროსთა ტირანისაგან არა იმით, რომ კანონს არ ეფუძნებოდა, არამედ იმით რომ მხოლოდ მემკვიდრეობითი არ იყო. ასეთი მეფეები ან მთელი ცხოვრების მანძილზე მართავენ, ან მხოლოდ დროებითი და გარკვეული მიზნების მისაღწევად.

მეოთხე სახე სამეფო ხელისუფლებისა იყო გმირთა დროში, იყო ნებაყოფლობითი და მემკვიდრეობითი ხასიათისა, შესაბამისად კანონიერიც იყო.პირველ მეფეებს ბევრი სიკეთე მოჰქონდათ ხალხისთვის, ან ხელოვნებით, ან ომით. ან იმით, რომ აერთიანებდნენ სახელმწიფოს და ახალ მიწებს იპყრობდნენ. გახდნენ ხალხისათვის სასურველი

მმართველები და მიიღეს მეფობის მემკვიდრეობით გადაცემის უფლება. მათ ევალებოდათ:ომის ხელმძღვანელობა, მსხვერპლშეწირვის რიტუალების ჩატარება(რაც სასულიერო წოდებას არ ეხებოდა), სასამართლო საქმეებისგარჩევა. სასამართლო საქმეებს ზოგი არჩევდა ფიცის ქვეშ, ზოგი-არა. ეს მეფეები მართავდნენ სახელმწიფოს როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებს. შემდგომში, ზოგ ფუნქციებზე თავად თქვეს უარი, ზოგი კი ხალხმა ჩამოართვა.

11.“თანამდებობის პირთათვის“ და „ხელობათათვის“ თომას მორის უტოპიის მიხედვით - 4ქ.

„თანამდებობის პირთათვის“:

ყოველი ოცდაათი ოჯახი, თავის მხრივ ყოველწლიურად ირჩევს თანამდებობის პირს, რომელსაც ადრე სიფოგრანტუსი ერქვა, ხოლო ახალ ენაზე ფილარქოსი ჰქვია. ყოველ ათ სიფოგრანტუსს თავისი ოჯახებიანად მეთაურობს კაცი, რომელსაც ძველებურად ტრანიბორუსი ერქვა, ახლა კი პროტოფილარქოსად იწოდება.

„ხელობათათვის“:

უტოპიაში მიწათმოქმედება ყველასთვის სავალდებულო საქმედ ითვლება. მას ყველა სწავლობს ბავშვობიდანვე, სკოლაში მოძღვრების დაუფლების გზით და ქალაქგარეთ მინდვრებზე ფიზიკური ვარჯიშის სახით.

მიწათმოქმედების გარდა უტოპიის თითოეული მოქალაქე სწავლობს დამატებით ხელობას, ეს ძირითადად არის მატყლის დართვა, სელის გამოყვანა, ხისმთლელთა, მელითონეთა და ხის ოსტატთა ხელობა. რაც შეეხება ტანსაცმელს, იგი განსვხავდება სხვადასხვა სქესის ადამიანებისთვის, ყოველთვის ერთნაირი და უცვლელია. მოსახერხებელი, სიცხესა და სიცივეში გამოსადეგი. ამ ტანსაცმელს ოჯახები თავისით ამზადებენ. როგორც კაცები, ისე ქალები , გარდა ძირითადი ხელობებისა, სწავლობენ კიდევ ერთ სხვას. მამაკცებს, როგორც წესი უფრო მძიმე ხელობები აქვთ. ახალგაზრდები მამის ხელობას მისდევენ, მაგრამ თუ ვინმეს ისეთი ხელობის დაუფლება მოუნდება, რომელსაც მისი ოჯახი არ იცნობს, ვინმე სხვას მიაშველბენ, იმას , ვისი

საქმიანობის მიმართაც ახალგაზრდა ინტერესს იჩენს. ორი ხელობის დაუფლების შემთხვევაში, ადამიანი ირჩევს სამუშაოდ იმას, რომელიც სურს, თუ სახელწმიფოს არ გააჩნია განსხვავებული ინტერესი.

სიფოგრანტუსთა უმთავრესი და თითქმის ერთადერთი საქმიანობაა, თვალყური ადევნონ სხვების მუშაობს, უზრუნველყონ ყველას დასაქმება. უტოპიაში სამუშაო დღის ხანგრძლივობა ექვსი საათია, დღის განმავლობაში აქვთ 2 საათიანი შესვენება. დაახლოებით 8 საათისთვის დასაძინებლად მიდიან, მთელი დრო, რომელიც მუშაობას ჭამასა და ძილს შორის რჩებათ , თავისი სურვილისამებრ შეუძლიათ გამოიყენონ. ისინი ესწრებიან სამუშაო დღის შემდეგ საჯარო კითხვას და მეცნიერების შესწავლიტ არიან დაკავებულნი. თუ ვინმეს არ მოუნდება დაესწროს საჯარო კითხვას და ხელობას დაუთმოს ეს დრო, პირიქით მისასალმებელიცაა. მათ გართობის დროც აქვთ, ვახშმობის შემდეგ ზამთარში საერთო დარბაზებში, ხოლო ზაფხულში ბაღებში თამაშობენ, უსმენენ მუსიკას და საუბრობენ. უაზრო, დამღუპველ ტამაშებს უტოპიელები არ იცნობენ, მხოლოდ ციფრების ბრძოლასა და სამხედრო წესით მანკიერებათა ბრძოლას თამაშობენ.

ის ფაქტი, რომ უტოპიაში სამუშაო დღე სულ რაღაც 6 საათს გრძელდება, არ ნიშნავს იმას, რომ საკმარისი დოვლათი არ იქმენაბ ცხოვრებისათვის. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სახელმწიფოთა უმეტესობაში, ან მხოლოდ კაცები მუშაობენ და ქალების უმრავლესობა დაუსაქმებელია, ან პირიქით. ამასთანავე სახელმწიფოს მოსახლეობის უზარმაზარი ნაწილი ცხოვრობს უსაქმოდ, ასეთები არიან: მღვდლები(რომლებსაც თომას მორი უსაქმურ ბრბოს უწოდებს), ბერები, მდიდრები, ჯალაბი, ჯანმრთელი მოსახლეობა, რომელიც რაიმე ავადმყოფობის მომიიზეზებით არ მუშაობს. საბოლოოდ კი, მათი რაოდეონა ძალიან ცოტა გამოდის. ამასთანავე დასაქმებულტა ნაწილი სახელმწიფოსთვის გამოუსადეგარი საქმიანობითაა დაკავებული. თუ ამ პიროვნებათა მთელ ერთობლიობას მივუჩენთ სასარგებლო საქმიანობას, შევამჩნევთ რომ სულ მცირე დროში ყველაფერს შექმნიან საჭიროსაც და ჭარბი რაოდენობისასაც კი.

უტოპიაში მხოლოდ 500 კაცი თუ იქნება გათავისუფლებული მუშაობისაგან. ასეთები არიან სიფოგრანტუსები, რომლებსაც კანონი კი

აძლევს უფლებას არ იმუშაონ, თუმცა ამას იშვიათად იყენებნ, ასევე ასეთი პრივილეგიით სარგებლობენ მეცნიერები. მეცნიერთაგან ირჩევენ ელჩებ,ს სასულიერი წოდების პირებს, ტრანიბორუსებს და საბოლოოდ სახელმწიფოს მეთაურს.

თუ გავითვალისწინებთ, იმას რომ უტოპიაში ყველა კარგად იცნობს საკუთარ ხელობას, მივხვდებით, რომ მათ მცირე დროსიც შეუძლიათ საქმის გაკეთება. მაგალითად მუშები ისე აშენებენ შენობებს, რომ ხშრი შეკეთება არ დასჭირდეთ, ამიტომ ძირითადად არ აქვტ საქმე, თუ , რა თქმა უნდა, საქმის წინ წაგდების მიზნით მასალას არ ამზადებენ, ასევე გასატვალისწინებელია, რომ ტანსაცმლის დამზადებას ძალიან მცირე დროს უთმობენ,, იმიტომ, რომ ერთი ხელი ტანსაცმელი ჩვეულებრივ ორი წელი ჰყოფნით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხშირად ისეც ხდება, რომ სახელმწიფო აცხადებს სამუშაო საათების ნაკლებობას, ვინაიდან ყველანაირი სამუშაო უკვე შესრულებულია, სახელმწიფოს მიზანი სულაც არ არის მოსახლეობის იძულებით მუშაობა. ყოველი მოქალაქე უნდა იყოს უზრუნვლეყოფილი მაქსიმალურად დროის იმ ოდენობით, რაც საჭიროა ფიზიკური მონობის შედეგად დრო გამოიყენოს სულიერი სიამოვნებისა და განათლებისათვის, ამაში მდგომარეობს ჰარმონია და ცხოვრების აზრი.

12.“სისასტიკის, გულმოწყალებისა დ აკიდევ იმისთვის, თუ რა სჯობია უყვარდეთ თუ ეშინოდეთ შენი?“ ნიკოლო მაკიაველის მთავარის მიხედვით - 4ქ.

ყოველი მთავარი უნდა ცდილობდეს გულმოწყალე კაცის სახელი მოიხვეჭოს და არა სასტიკისა, მაგრამ უთავბოლოდ არ უნდა იყენებდეს გუმოწყალებას. მთავარი არაფრად უნდა აგდებდეს გმობას სისასტიკის გამო, თუკი ის ამის წყალობით ახერხებს , რომ ბოლო მოუღოს ქვეშემრდომთა განდგომასა და განხეთქილებას. სჯობს რამდენიმე დასაჯო და ეს სხვებისთვის მაგალითის მიმცემი იყოს, ვიდრე რამდენიმეს შეწყალებამ სხვათა ურცობა გამოიწვიოს. მთავართა შორის ყველაზე ძნელად მხოლოდ ახალი მტავარი თუ ვერ დააღწევს სასტიკი კაცის სახელს, იმიტომ , რომ ყოველია ხალი სახალემწიფო ხიფათითაა სავსე.

მტავარი მალემრწმენი არ უნდა იყოს, დინჯად უნდა იღებდეს გადაწყყვეტილებებს, არ უნდა ესწრაფვოდეს ქვეშემრდომთათვის საფრთხობელად იქცეს მაგრამ არც ძალიან მალე უნდა მიენდოს მათ. რაც შეეხება სიყვარულსა და შიშს, თუ არჩევანი დგება იმაზე, თუ რა სჯობს უყვარდე შენს ქვეშემროდმებს ტუ ეშინოდეთ შენი, სჯობს შიშის ჩანერგვა. იმიტომ, რომ ადამიანები უმადურები არიან, სიყვარულს გეფიცებიან, მაგრამ საფრთხის მოახლოებასთან ერთად მაშინვე ზურგს გაქცევენ, ისინი თავხედურად ექცევიან მას, ვინც სიყვარულს უნერგავს,სიყვარული მხოლოდ მოვალეობის გრძნობაზეა დაუფზნებული და დაუყოვლებნივ ქარწყლდება ტუ ანგარება დაუპირისპირდება. ხოლო შიში განპირობებულია ისევ შიშით, კერძოდ სასჯელის შიშით. მაგრამ მაინც, მტავარიისე უნდა უნერგავდეს შიშს, რომ სიყვარული თუ არა სიძულვილი არ აღძრას მათში. მთავარი ამას შეზლებს თუ არ ხელჰყოფს ქვეშემრდომტა სიცოცხლეს და საკუთრებას, რადგან ადამიანები მამის სიკვდილს უფრო ადვილად გადაიტანენ, ვიდრე ქონების დაკარგვას.

როცა მტავარი წინ მიუძღვის ლაშქარს სისასტიკე აუცილებელია, მის გარეშე ჯარის ერთსულოვნებასა და ბრძოლისუნარიანობას ვერ შეინარჩუნებბს, ჰანიბალი სასტიკი იყო, სწორედ ამიტომ აღმავლობის თუ დამარცხების პერიოდში, მის ლაშქარში ერთხელაც კი არ მომხდარა უთანხმეობა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კაცთა სიყვარულს მათი ნება-სურვილი განსაზღვრავს, ხოლო შიშს-მთავრისა. ამიტომ მთავრისათვის უკეთესია ეყრდნობოდეს იმას, რაც მასზეა დამოკიდებულია და არა იმას, რაც სხვის ნებაზე ჰკიდია.მაგრამ აუცილებელია, რომ თავიდან აიცილოს სიძულვილი.

13.“როგორ უნდა ესწრაფვოდნენ მთავრები იმას, რომ სანდონი იყვნენ“ ნიკოლო მაკიაველის „მთავარის“ მიხედვით - 4ქ.

საუცხოო იქნებოდა, რომ მთავრებს ქვეშემრდომთა ნდობის შენარჩუნების პარალელურად, ყოველგვარი ზაკვის გარეშე ეცხოვრათ, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს ორივე შეუზლებელია ერთდროულად. სწორედ ამიტომ, ის მთავრები, რომლებიც ქვეშემრდომთა

ნდობას არად აგდებდნენ , მაგრამ ახერხებდნენ მათი გზა-კვალის არევას ყოველთვის დიდი საქმეების აღმსრულებლებლად გველინებიან. არსებობს ბრძოლის ორი სახე, ბრძოლა კანონებისა და ძალის მეშვეობით . პირველი ნიშენულია ადამიანისთვის, მეორე მხეცთათვის, მტავარმა უნდა მოახერხოს, რომ შეითავსოს საჭიროების შემთხვევაში როგორც მხეცის, ისე ადამიანის ბუნება, სწორედ ამიტომ იყო, რომ აქილევსი და ბევრი სხვა აღსაზრდელად მიაბარეს კენტავრ ქირონს(ნახევრად კაცსა და ნახევრად მხეცს), ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მთავარი უნდა ისისხლხორცებდეს ორივე ბუნებას, ერთი მეორის გარეშე უდღეურია. ხოლო მხეციდან უმჯობესია თუ ამოარჩევს ლომსა და მელას, ლომს არ შეუძლია თავი დაიცვას გველისაგან, მელას მგლებისაგან. მაშასადამე, მელა უნდა იყო , რომ მგლები შენიშნო და ლომი უნდა იყო, რომ გველი შენიშნნო.

კეთილგონიერი მტავარი შეუძლებელია თავისი აღთქმის ერთგული იყოს, თუ ეს მისთვისვეა საზიანო. მთავარს არასოდეს გამოელევა იმის კანონიერი მიზეზი, რომ გაამართლოს თავისი ორპირობა. მან უნდა მოახერხოს, რომ გაითამაშოს მელას როლი სიმუხთლის შემთხვევაში. ადამიანები ისეთი მეამიტნი და ყოველდღიურ აუცილებლობას დამონებულნი არიან, რომ ცრუს არასდროს შემოაკლდება ხალხი, საკუთარი საქციელის გასამართლებლად. ამიტომ არ არის აუცილებელი, რომ მთავარი გულმოწყალე, სარწმუნო, კაცთმოყვარე მორწმუნე და პატიოსანი იყოს, მტავარია რომ ასეთად აჩვენებდეს თავს და თუ ჩამოთვლილ თვისებებს ფლობს, მაშინ საწინააღმდეგოს გამოვლენაც უნდა შეეძლოს საჭიროებისდა მიხედვით. სიკეთის გზაზე დამდგარს ამავდროულად ბოროტების გზაზე დადგომაც უნდა შეეძლოს. ვინაიდან ადამიანები ხედვას უფრო მეტ ანგარიშს უწევენ მსჯელობისას ვიდრე შეხების გრძნობას. ისინი ორიენტირებულნი არიან შედეგზე. თუ მთავარი მხოლოდ გამარჯვებისა და ძალაუფლებისთვის იბრძვის, მაშინ ადამიანები აღარ მიაქცევენ ყურადღებას ბრძოლის ხერხებს და სასურველი შედეგის შემთხვევაში მას პატიოსან კაცად შერაცხავენ.

14. როგორია ბედისწერის გავლენა კაცთა ცხოვრებაზე და როგორ შეიძლება წინ აღუდგე მათ ნიკოლო მაკიაველის მთავარის მიხედვით- 4ქ.

ნიკოლო მაკიაველის აზრით, ბედისწერა წარმართავს ადამიანთა ცხოვრების ერთ ნახევარს, ხოლო მეორე ნახევარი მთლიანად ადამიანებსა და მატ თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული. ბედისწერა ჰგავს ბობოქარ მდინარეს, რომელიც გამძვინვარებული გადმოლოახავს ნაპირებს და ყველაფერს წალეკავს. მიუხედავად ამისა მაინც რჩება იმის საშუალება, რომ ბედისწერას წინ აღუდგე, ადამიანებმა მყუდროების და მშვიდობიანობის ჟამს, უნდა აღმართონ ჯებირები, კაშხალები, ისე რომ წყალდიდობის დორს მდინარე ან თავის კალაპოტში დაეტიოს ან მისი მძვინვარება ნაკლებად მძაფრი იყოს. ამის მსგავდად ბედისწერაც, თავის ძალმოსილებას სრული მოცულობით ავლენს იქ, სადაც არავის იმაზე, რომ საპირისპირო ძალა დაეხვედრებინა მისთვის და იგი თავის ძალას მიმართავს იქით სადაც არ არსებობს მისი შემაჩერებელი ჯებირები.

რატომ იღუპება დღეს მთავარი რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ბბედნიერი იყო? მაშინ, როდესაც მის ბუნებასა და თვისებებს არ განუცდიათ ცვლილება. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ მისი მოქმედებები აღარ შეესაბამება დროს. შესაძლებელია ორი კაცი განსვხავებული ხერხებით ისწრფავოდეს მიზნის მიღწევსკენ და ორივემ მიაღწიოს მას, მაშინ როდესაც ორი ერთნაირად მოქმედი კაცისაგან, ერთი აღწევს მიზანს, ხოლო მეორე ვერა. ეს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ დროის თავისებურებით. ამითვეა განპირობებული ის, რომ ფრთხილი და მოხერხებული კაცი, ბედნიერი იქნება მანამ სანამ დროება გარემოებებთან შესაბამისია, მაგრამ შეიცვლება თუ არა იგი , მისი საქმე წასულია. რადგან არ არსებობს იმდენად კეთილგონიერი კაცი, რომ მიესადაგოს დროის მოთხოვნებს, რადგანაც ძნელია ბუნებრივი მიდრეკილებების დათრგუნვა და ამასთანავე რადგან დასახული გზა ყოველთვის ამართლებდა, ძნელია იმის დაჯერება, რომ მისი შეცვლაა სააჭირო.

ადამიანები, რომლებიც ჯიუტად მისდევენ მოქმედების ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ გზას, ბედნიერნი არიან მანამ, სანამ მათი მოქმედება და ბედისწერა ერთმანეთს შეესაბამება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბედნიერება უბედურებით იცვლება. უმჯობესია თამამი იყო, ვიდრე ფრთხილი და წინდახედული, რადგან ბედისწერა ქალია და მის მოსათვინიერებლად არ უნდა იშურებდე მუჯლუგუნებსა და წიხლებს.

ამიტომ ბედისწერა ქალისა არ იყოს, ყოველთვის სიჭაბუკეს ამჯობინებს, რადგანაც სიჭაბუკე უფრო თამამია და მოურიდებელია, უფრო თავდაჯერებულად მბრძანებლობს მასზე.

15. კაცთა მოდგმის ბუნებით მდგომარეობაზე, მის ბედნიერებასა და უბედურებასთან კავშირში ჰობზის „ლევიათანის“ მიხედვით -4ქ.

ბუნებამ ადამიანები თანაასწორნი შემქნა ფიიზკური და გონებრივი მონაცემების მიხედვით, მიუხედავად მცირე განსხვავებებისა, საბოლოოდ ინდივიდები ისე არ განსვხავდებიან ერთმანეთისაგან, რომ კაცმა თქვას, მე რაღაც ისეთი სიკეტე მეკუთვნის რაც სხვას არ აქვსო .

გონებრივი შესაძლებლობების მხრივაც ასეა, თუ არ ჩავთვლით სიტყვის ხელოვნებას რომელიც ცოტა ადამიანს თუ აქვს. კეთილგონიერების მხრივაც თანასწორნი არიან ადამიანები, რადგან კეთილგონიერება გამოცდილების შედეგია და ადამიანები გამოდილებას თანაბრ დროში თანაბრად მოიპოვებენ თუ ერთსა და იმავე საქმიანობას ეწევიან. კაცის ბუნებია ისეთია, რომ იგი მარტივად იჯერებს, რომ სხვა მასზე გონებამახვილი და ძლიერია, მაგრამ იშვიათად თუ დაიჯერებს, რომ ვიღაცას ისეთივე შესაძლებლობებიაქვს როგორიც მას. ამის მიზეზი ისაა, რომ საკუთარ ჭკუას უშალოდ აქვიღვამთ ხოლო სხვისას შორიდან.

უნარების ტანასწორობიდან მიზნების მიღწევის თანაბარი იმედის გამომიდნარეობს, ადამიანები ერთსა დს იმავე მიზეზს ისახავენ და ამიტომ უპირისპირდებიან კიდეც ერთმანეთს. ისინი ამავე დროს ერთმანეთის განადგურებას ან დამორჩელბას ცდილობენ. ის ვინც, რაიმეს დათესავს მოიმკის ან ააშენებს უნდა ელოდოს რომ სხვები მოემზადებიან და ერთობლივად დაესხმევიან მას თავს.

ასეთი ურთიერტობების პირობებში საღად მოაზროვნე კაცს დაცულობის განცდა ვერ ექნება, თუ არ შეეცდება რომ დაიმორჩილოს სხვა ადამიანები. ის ხალხი, რომელიც მზადაა მშვიდად იცხოვროს და სხვებს არ შეეხოს, არ დაიმორჩილოს ისინი დიდხანს ვერ გასტანს, ხოლო ისინი ვინც ესწრაფვიან სხვებზე ბატონოს უფრო შორს წავლენ. კაცთათვის ვნების

მომტაენია ერთად იცხოვრონ ისეთი ძალის გარეშე, რომლის რიდიც ყველას ექნება.

ადამიანის ბუნებაში კონფლიქტის სამი ძირითადი წყარო არსებობს, შეჯიბრი, შიში და პატივმოყვარეობა. შეჯიბრი აიძულებს ადამიანს მოხვეჭისკენ, შიში უსაფრთხოების აუციელბლობას იწვევს, ხოლო პატივმოყავრეობა სხვებზე თავდასხმისკენ უბიძგებს მას. სანამ ადამიანებს არ აქვთ ძალაუფლება, რომელიც ყველას მოწიწების მდგომარეობაში ამყოფებს, ისინი მუდმივი ომის ვითარებაში არიან. ომი ყველა კაცისა ყველას წინააღმდეგ. ყველაფერი რაც ითქმის იმ დროზე,, როცა ყველა ყველას მტერია, ითქმის ასევე იმ დროზეც, როცა ადამიანს არ გააჩნია უსაფრთხოების სხვა გარანტია გარდა საკუთარი ძალებისა. ასეთ დროს არავინ შრომობს, კაცის ცხოვრება ეულია, ღარიბი, ცხოველური და მოკლე.

ადამიანის სურვილები და ნაირნაირი ვნებები თავისთავად ცოდვაარ არის, ამ ვნებებიდან გამომდინარე ქმედებაც ცოდვად ვერ ჩაითვლება. თუ ჩამდენმა არ იცის, რომ მათი ამკრძალლავი კანონი არსებობს, მაგრამ ეს ვერ ეცოდინება, სანამ კანონები არშექმნილა, ხოლო კანონები ვერ დაიწერება, სანამ ადამიანები არ შეთანხმდებიან, ვის ეკუთვნის მათი დაწერა.

მიუხედავად იმისა, რომ არასდროს ყოფილა დრო, როცა ცალკეული ადამიანები ერთმანეთის მიმართ ომის მდგომარეობაში არიან, ყველა ეპოქაში მეფეებბი მათი დამოუკიდებლობის გამო მუდამ ერთმანეთთან ქიშპში იყვნენ. ყოველი ადამიანის ყველა სხვის წინააღმდეგ ომის მდგომარეობიდან გამომდინარეობს ისიც, რომ უსამართლო მასში ვერაფერი იქნება. ბოროტებისა და სიკეთის, სმაართლიანობის და უსამართლობის ცნებები უადგილოა, სადაც არ არის საერთო ხელისფულება არ არის კანონიც. სადაც არ არის კანონი ვერც უსამართლობა იქნება . სამართლიანობა და უსამართლობა ის თვისებებია, რაც მხოლოდ საზოგადეობაში მცხოვრებ და არა მარტოხელა ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ. ამ მდგომარეობაში ვერ იარსებებს ვერც საკუთრება, ვერც რაიმეს უფლება, ვერც ჩემისა და შენის გარჩევა. მაგრამ ბუნება ადამიანს უტოვებს შანსს ამ მდგომარეობიდან გამოსვლისა, რაც ნაწილობრივ მის ვნებებს და ნაწილობრივ გონებას ემყარება.

ვნებები, რომლებიც ადამიანს მშვიდობისკენ უბიძგებს არის სიკვდილის შიში, კომფორტული ცხოვრებისათვის საჭირო ნივთების ქონის სურვილი და იმედი, რომ საკუთარი გარჯით შეიძლება მათი მოპოვება. გონება კი სთავაზობს მშვიდობის გამოსადეგ პირობებს, რომლებზეც ადამიანები შეთანხმდებიან. ამ პირობებს ბუნებითი კანონები ეწოდებათ.

16.პირველი და მეორე ბუნებითი კანონების და ხელშეკრულების შესახებ ჰობზის ლევიათანის მიხედვით - 4ქ.

ბუნებითი უფლება არის ადამიანის თავისუფლება, გამოიყენოს საკუთარი ძალა ისე როგორც სურს, საკუთარი ბუნების ანუ სიცოცხლის შესანარჩუნებლად და იმოქმედოს ამ მიზნების მიღწევის საჭიროებისამებრ. თავისუფლება ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით გულისხმობს გარე შეზღუდვების არარსებობას. ბუნებითი კანონი არის მოთოხვნა ან გონებით მიკვლეული ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც აადამიანს ეკრძალება გააკეთოს ისეთი რამ, რაც მის სიცოცხლეს ხელყოფს ან ვერ შეაძლებინებს მას ამ უკაასკნელის დაცვას და ხელი აიღოს იმ საშაულებებზე რაც მისი აზრით საუკეთესოა სიცოცხლის შესანარჩუნებლად. უფლება არის რაიმეს გაკეთების ან რაიმესაგან თავის შეკავების თავისუფლება, ხოლო კანონი გვიდგენს და გვავალდებულებს ქცევის ამა თუ იმწესით.

ომში ყველა ადამიანს ყველაფრის უფლება აქვს, მათ შორის სხვისი სიცოცხლის ხელყოფისა. სანამ ძალაშია ბუნებითი კანონი, რომლის თანახმადაც ყველას ყველაფრის ულფება აქვს, ვერც-ერთი ადამიანი ვერ ჩათვლის გარანტირებულად, რომ მისი სიცოცხლე დაწულია და დიდხანს იცოცხლებს, სწორედ ამიტომ , ადამიანებს უჩნდებათ მოთოხვნილება მშვიდობისა, ეს არის ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც ყველა ადამიანი უნდა ესწრაფვოდეს მშვიდობას, მშვიდობის ძიება არის პირველი და ძირეული ბუნებითი კანონი.

პირველი კანონიდან გამომდიანრეობს მეორე კანონი, თუ სხვებსაც გაუჩნდებათ მშვიდობის დამყარების სურვილი, ხელი აიღოს საყოველთაო უფლებაზეე და დაკმაყოფილდეს იმდენი თავისუფლებით სხვა ადამიანებთან მიმართებაში, რამდენადაც ის სხვა ადამიანებში დაუშვებს თავისუფლებას საკუთარი თავის მიმართ. მაგრამ თუ მხოლოდ ერთი

ადამიანი იტყვის თავის უფლებაზე უარს და სხვები არა მაშინ ადამიანს ვერ მოვთხოვთ დათმოს თავისი, რადგან ამ შემთხვევაში(ვინაიდან არსებობს მუდმივი ომის მდგომარეობა) იგი სვხების წინაშე დაუცველი დარჩება. ეს სახარების კანონია: მოვექცეთ ადამიანებს ისე, როგორც თქვენ გინდატ,რომ ისინი მოგექცნენ.

კაცის მიერ რაიმე უფლების დათმობა ნიშნავს, რომ იგი უარს ამბობს თავისუფლებაზე, ხელი შეუშალოს სხვას იგივე უფლება თავის სასიკეთოდ გამოიყენოს.

უფლების დათმობა ხდება ან უბრალოდ, მასზე ხელის აღებით, ან მისი სხვისთვის გადაცემით. უბრალოდ ხელის აღება ნიშნავს, რომ ადამიანს არ აინტერესებს ვინ იხეირებს ამ უფლებით , გადაცემასთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა სარგებელი რომელიმე პიროვნებისათვის აქვს განსაზღვრული.უფლების დატმობისა და გადაცემის შემდეგ იგი ვალდებულია არ დაუშალოს მისი გამოყენება სხვებს. ადამიანი თმობს და გადასცემს უფლებას იმიტომ, რომ იგი თავად იღებს ამ უფლების ტოლფასს, ან რაიმე სხვა სარგებელს ელის. შესაბამისად ადამიანის ნებაყოფლობითი ქცევის მიზანია რაიმე სხვა სარგებლის მოპოვება. არსებობს უფლებებები, რომლის დათმობასაც ადამიანი ვერაფრით ახსნის, მაგალითად სხვისგან თავის დაცვის უფლება. საბოლოოდ უფლების დათმობის და გადაცემის მოტივი და მიზანი ასევე უსაფრთხოების შენარჩნება.

უფლების ურთიერთგადაცემა არის ის, რასაც ხელშეკრულებას ეძახიან. განსვხავდება რაიმე საგნის მიმართ უფლების გადაცემა და თავად ა მ საგნის გადაცემა. საგნის მიწოდება შეიძლება უფლების გადაცემასთან ერთად.

ხელშეკრულების პაქტი , გარიგება, ეწოდება ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც ერთი მხარე გარკვეული ვადით გადადებს საგნის მიწოდებას და გადაავადებს მეორე მხარის მიერ დანაკისრის შესრულებასაც. ასეთ შემხთვევაში ისინი ერთმანეთის მიმართ ნდობით სარგებლობენ. ამ მოქმედებების ნებაყოფლობით შესრულებას ნდომის გამართლება ჰქვია, ხოლო შეუსრულებლობას- პირის გატეხვა.

17. ბუნების კანონები მონტესკიეს კანონთა გონის მიხედვით - 4ქ.

ბუნების კანონების განსახილველად, ადამიანი უნდა წარმოვიდგინოთ საზოგადოებამდელ მდგომარეობაში, სწორედ ის კანონებია ბუნებითი კანონები, რომელთაც იგი ემორჩილება ამ მდგომარეობაში.

ასეთ მდგომარეობაში ადამიანი თავს დაუცველად გრძნობს, იგი ძალიან მორიდებულია, გრძნობს თავს უძლურად და არ ძალუძს თავი სხვათა თანასწორად ჩათვალოს, მისთვის უცხოა სხვაზე თავდასხმა, ამიტომ პირველი ბუნებითი კანონი არის მშვიდობა. თავდასხმისა და თავდაცვის მოტივები, რომლებსაც ჰობზი ასახელებს, და როგორიცაა შეიარაღებული სვლა და გასაღებით კარის ჩაკეტვა მხოლოდ საზოგადოების გაჩენის შემდეგ ყალიბდება.

უძლურების გრზნობას ადამიანში უერთდება მოთხოვნილებების გრძნობაც. შესაბამისად მეორე ბუნებითი კანონი არის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ადამიანის მიერ საკვების ძიება.

შიში აიძულებს ადმაიანებს ერთმანეთს გაექცნენ, მაგრამ ისინი ამასთანავე იზიდავენ ერთმანეთს და ესწრაფვიან დაახლოებას, მათ ამოძრავებთ სიამოვნება, რომელსაც ერთი ცხოველი განიცდის მეორე გგვარის ცხოველის მიახლოებისას. და თუ საქმე გვაქვს სქესების სხვაობასთან მიზიდულობა კიდევ უფრო იზრდება, ის ბუნებრივი ვედრება, რომლითაც ეს ადამიანები ერთმანეთს მიმართავენ იქნება მესამე ბუნებითი კანონი.

გარდა ერთმანეთის მიმართ გრძნობისა ადამიანები შემდგომში იძენენ შემეცნებას, უჩნდებათ ისეთი კავშირი ერთმანეთს შორის რომელიც არ აქვთ ცხოველებს. საზოგადეობად ცხოვრების სურვილი არის მეოთხე ბუნებითი კანონი.

18.სამი სხვადასხვა მმართველობის ბუნება მონტესკიეს „კანონთა გონის მიხედვით“

არსებობს სამი სახის მმარტველობა: რესპუბლიკური მონარქიული და დესპოტური.

რესპუბლიკური-ისეთი მმართველობაა, როცა უმაღლესი ძალაუფლება მტელი ხალხის ან მხოლოდ მისი ერთი ნაწილის ხელშია

მონარქიული მმართველობის დროს ერთი ადამიანი მართავს, მაგრამ დადგენილი და მყარი კანონების გამოყენებით

დესპოტური მმართველოს დროს ერთი ადამიანი ყოველგვარი წესისა და კანონის გარეშე განაგებს ყველაფერს თავისი სურვილებისა და კაპრიზების შესაბამისად.

19.რესპულიკური მმართველობა და დემოკრატიისათვის დამახასიათებელი კანონები მონტესკიეს კანონთა გონის მიხედვით - 3ქ.

რესპუბლიკურ მმართველობას, რომელშიც ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის დემოკრატია ეწოდება, ხოლო თუ ძალაუფლება მხოლოდ ხალხის ერთ ნაწილს ეკუთვნის, ეს არისტოკრატიაა.

დემოკრატიის დროს, ხალხი ერთი მხრივ მონარქია მეორე მხრივ ქვეშემრდომი. იგი მონარქია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აქვს საარჩევნო ხმები, რომლებითაც გამოხატავს თავის ნებას. სუვერენულის ნება თვითონ სუვერენულია. კანონები, რომელბითაც განსაზღვრავენ საარჩევნო ხმას, ამ მმართველობის ძირითადი კანონებია. მართლაც, რესპბლიკისათვის ისევე მნიშვნელოვანია დადგნდეს თუ როგორ, ვის მიერ ვისთვის და რაზე უნდა იქნეს მიცემული ხმა, როგორც მონარქიაში აუიცლებელია ვიცოდეთ, თუ რომელია მონარქი და როგორი წესით უნდა მართოს მან.

20.არისტოკრატიული წყობის დამახასიათებელი კანონები მონტესკიეს კანონთა გონის მიხედვით - 3 ქ.

არისტოკრატიული წყობის დროს უმაღლესი ძალაუფლება გარკვეული რაოდენობის ადამიანების ხელშია, ისინი ადგენენ კანონებს და აიძლებენ სხვებს მათ განხორციელებას. დანარჩენი ხალხი მათი ქვეშემრდომები არიან.

აქ არჩევნები არ უნდა ხდდებოდეს წილისყრით, ეს უარყოფით მოვლენეს გამოიწვევდ. ისეთ მმართველობაში, რომელიც უკვ დადგენილია ყველაზე უფრო სავალალო სხვაობები ადამიანებს შორის, წილისყრით არჩეული ადამიანები ნაკლებ საძულველნი არ იქნებოდნენ იმის გამო რომ ისინი წილისყრით არიან არჩეულნი. აქ შურს იწვევს წარჩინებულობა და არ ამმართველობითი ფუნქცია.

თუ წარჩინებულნი მრალავრიცხოვანნი არიან საჭიროა სენატი, რომელიც გადაწყვეტს იმ საქმეებს რასაც ვერ გადარჭრის წარჩინებულთა კორპუსი. სენატი მოამზადებს საქმეებს, რომლებსაც გადაწყვეტს წარჩინებულთა კორპუსი. ამ შემთვევაში არისტოკრატია გარკვეული აზრით წარმოადგენს სენატი, წარჩნებულთა კორპუსი-დემოკრატია, ხალხს კი არარა.

სენატორებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება თავისი ნებით შეავსონ იმათი ადგილები, ვინც სენატს აკლია. ეს გამოიწვევდა ძალაუფლების გამუდმებულ ბოროტად გამოყენებას.

21. დესპოტური სახელმწიფოს შესაბამისი კანონები მონტესკიეს კანონთა გონის მიხედვით - 3ქ.

დესპოტური ძალაუფლების ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ ერთი ადამიანი, რომელიც მას უნდა ახორიცელებდეს, მას განახორციელებინებს ერთ სხვას. ადამიანი, რომელსაც მისი ხუთივე გრძნობა გამუდმებით ეუბნება, რომ იგი ყველაფერია, ხოლო დანარჩენი კი არაფერია, ჩვეულებრივ ზარმაცი, უვიცი და ავხორცი ხდება. ის თავს ანებებს საქმეებს. მაგრამ, თუ საქმეები ბევრს მიანდო, ეს გამოიწვევს სკამათს მათ შორის. მოეწყობა ინტრიგები პირველი მონის ადგილის დასაკავებლად, ხელმწიფე იძულებული იქნება დაუბრუნდეს მმართველობას, ამიტომ უფრო ადვილია მიანდოს ყველაფერი ერთ ვეზირს, რომელსაც მისი თანაბარი ძალაუფლება ექნება. ვეზირის დაყენება ასეთი სახელმწიფოს ძირითადი კანონია.

22. რა არის თავისუფლება მონტესკიეს კანონთა გონის მიხედვით - 3ქ.

დემოკრატიაში ერთი შეხედვით ხალხს შეუძლია აკეთოს ის,რაც სურს მაგრამ პოლიტიკური თავისუფლება ამაში არ მდგომარეობს. სსაზოგადეობაში, სადაც არსებობს კანონები თავისუფლება შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ იმაში, რომ შესაძლებლობა გვქონდეს ვაკეთოთ ის, რაც ჯერ-არს, რომ ვისურვოთ და იძულებულნი არ ვიყოთ ვაკეთოთ ის, რაც ჯერ-არს, რომ არ ვისურვოთ. შესაბამისად, თავისუფლება ნიშნავს, გვსურდეს იმის კეთება რაც კანონით არის დადგენილი და არ ვაკეთოთ და არ გვსურდეს ის რაც აკრძალულია.

თავისუფლება იმის კეთების უფლებაა, რაც კანონით დასაშვებია და თუ მოქალაქეს შეუძლია აკეთოს ის, რასაც კანონები კრძალავენ, მაშინმას აღარ ექნება თავისუფლება, რადგან იგივე შესაძლებლობა ექნებათ სხვებსაც.

23.ინგლისის სახელმწიფო წყობა მონტესკიეს კანონთა გონის მიხედვით - 4ქ.

ყოველ სახელმწიფოში სამი სახის ხელისუფლებაა: კანონმდებელი ხელისუფლება, საერთაშორისო სამართალზე დამოკიდებულ საქმეთა აღმასრულებელი ხელისუფლება და სამოქალაქო სამართალზე დამოკიდებულ საქმეთა ხელისუფლება.

საკანონმდებლო ხელისუფლების ძალით ხელმწიფე ან მაგისტრატი ქმნის სამუდამო კანონებს და ასწორებს ან აუქმებს არსებულ კანონებს.

აღმასრულებელი ხელისუფლების ძალით აცხადებს მშვიდობას ან ომს, აგზავნის ან იღებს ელჩებს, უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, სახელწმიფოს აცილებს შემოსევებს.

სასამართლო ხელისუფლების ძალით იგი სჯის დანაშაულებებს ან განიკითხავს კერძო პირთა უთანხმოებებს.

დაუშვებელია, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთი პიროვნების ხელში იყოს მოქცეული, ასეთ დროს არსებობს ტირანიის საფრთხე. ასევე დაუშებელია, რომ სასამართლო ხელისუფლება არ იყოს განცალკევებული საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში , მოსამართლე თვითნვე იქნება კანონმდებელი და ადგილი ექნება თვითნებობას.

სასამართლო ძალაუფლება უნდა ეძლეოდეს არა მუდმივ სენატს, არამედ იგი უნდა ხორციელდებოდეს ხალხის წრიდან არჩეული პირების მიერ წლის გარკვეულ დროს და კანონით დადგენილი წესით, რათა შეიმქნას ისეთი სასამართლო, რომლის ხანგრძლივობაც ვერ გასცდება აუცილებლობის ფარგლებს. სასამართლო ხელისუფლება არ იქნება დაკავშრბეული არც გარკვევილ წოდებასთან, არც პროფესიასთან. იგი შეუმჩნეველი გახდება. ასევე აუცილებელია , რომ დიდი ბრალდების შემთხვევაში დამნაშავე კანონის თანახმად ირჩევდეს მოსამართლეებს. მოსამართლის გადაწყვეტილებები კანონით უნდა იყოს დასაბუთებული. მოსამართლეები და დამნაშავეები ერთნაირი სოციალიური მდგოამრეობის უნდა იყვნენ, რადგან დამნაშავემ არ იფიქროს, რომ იგი იმ ადამიანთა ხელში ჩავარდა რომლების მას რაიმეს აიძულებენ,

დანარჩენი ორი ხელისუფლება შეიძლება მიენდოს მაგისტრატებს ან მუდმივ კორპუსებს, ვინაიდან ისინი არ ეხებიან არც-ერთ კერძო პირს.

საკანონმდებლო კორპუსის წევრებს საერთოდ არ უნდა ირჩევდნენ მთელი ერის შემადგენლობიდან, არამედ საჭიროა, რომ ყოველი დიდი დასახლებული ადგილის მაცხოვრებლებმა თვითონ აირჩიონ საკუთარი წარმომადგენელი. დეპუტარები ხალხის ერთი ფენის წარმომადგენლები არიან , მაგრამ მათ ანგარიში უნდა ჩააბარონ იმათ, ვინც ისინი აირჩია. სახელწმიფოში უპირატესობების მქონე ადამიანების(მაგალითად წარცინებულები) წილი კანონმდებლობაში პროპორციული უნდა იყოს მათი უპირატესობებისა, მათ უნდა შეადგინონ კეთილშობილთა კორპუსი. კანონდემებლი ხელისუფლება მინდობილი ექნება, როგორც

კეთილშობილთა კორპუსს ისე ხალხის წარმომადგენელთა კორპუსს. კეთლშობილთა კორპუსი მემკვიდრეობითი უნდა იყოს.

აღმასრულებელი ხელისუფლება მონარქის ხელში უნდა იყოს, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლება მრავლის ხელში.

საჭირო არ არის,რომ კანონდემებლი კრპუსი მუდამ შეკრებილი იყოს, მაგრამ არც ისე უნდა მოხდეს, რომ სრულიად თავისუფლები იყვენ და საერთოდ არ შეიკრიბონ. საჭიროა რომ აღმასრულებელმა ხელისფულებამ დაადგინოს კრების ჩატარების დრო და ხანგრძლივობა მისტვის ცნობილი გარემობისდა მიხედვით. საკანონმდებლო ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს აღმასრუელბელი ხელისფულების შეჩერების უფლება, მაგრამ მაგრამ მას უფლება და უნარიც უნდა ჰქონდეს, რომ შეამოწმოს როგორ ხორციელდება მისი კანონები.

სასამართლო ხელისუფლება არ უნდა იყოს კანონდემებელი ხელისუფლების არც-ერთ ნაწილთან შერეული, სამი გამონაკლისის გარდა: 1.კეთილშობილებს უნდა ასამართლებდეს კანონმდებელი ხელისუფლების კეთილშობილთა კორპუსი, 2 მეტისმეტად მკაცრი კანონის შემთხვევაში სასამართლოს უმაღლესმა ავტორიტეტმა უნდა შეარბილოს იგი 3. ხალხის ღირსებებია და უსაფრთხოების დასაცავად საჭიროა, რომ ხალხის კანონმდებელი ნაწილი ბრალდებას აყენებდეს წარჩნებულთა ნაწილის წინაშე.

აღმასრულებელი ხელისუფლება, უნდა მონაწილეობდეს კანომდებელ ხელისუფლებაში თავისი აღკვეთ უფლების გზით.

ამრიგად:კანონდემებლი კორპუსი ორი ნაწილისაგან შედგებბა და ერთი მეორეს აკავებს იმით, რომ ერთიმეორის მოქმედების შეჩერების უფლება აქვს, ორივე ნაწილი შეკრულია აღმასრულებელი ძალაუფლებით, რომელიც ასევე შებოჭილია საკანონდმებლო ხელისუფლების მიერ. ეს სამი ძალაუფლება სიმშვიდესა და სიწყნარეს უნდა ქმნიდნნენ.